პარასკევი, 1918 წ. იანვარი 5 (18) № 4

წელიწადი მეოთხე

პარასკევი, 1918 წ. იანვარი 5 (18) № 4

ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

**რედაქცია**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის გვარი და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღია დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

**კონტორა**

გაზეთის ფასი ერთის წლით 50 მ. 6 თვით 27 მ. 3 თვით 13 მ. 50 კ. ერთი თვით (მხოლოდ თბილისში) 5 მან. ცალკე № 20 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოეული ზომით: 15X2=8 მანეთი, 20X2=10 მანეთი, 30X2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1 მანეთი. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა **15—73**

## დ ღ ე ს:

### ამბები:

ბრესტ-ლიტოვსკში საზავო მოლაპარაკება განახლდა.—უდინებსა და ინგილოებს თათრები არბევენ.—მობილიზაციის დეკრეტის ძალით ჯარში არ გაიწვევენ ოჯახის ერთად-ერთ მარჩენალს.—ოსმალეთისა და კავკასიის ნამდვილი ზავის საკითხი ენვერფაშას აღუძრავს.

### წერილები:

**მეთაური.** მობილიზაცია საქართველოში.
**გ. ჯანაშვილი.** საინგილოს გასაჭირი.
**შ. თუგალი.** პური და სანახაობანი.
**ტიტე ტაბიძე.** ქართული ხელოვნება.
**ი. ჟორდანია.** პროვინციელის ფიქრები.
**კორესპონდენცია.** არეულობა ახალციხეში.

დეკრეტი მობილიზაციის შესახებ.

---

ღრმად დამწუხრებულნი ალექსანდრე სტეფანეს ძე ჭრელაშვილი, ეკატერინე თეოდორის ასული და მიხეილ მიხეილის ძე ასათიანები, გიორგი დანიელის ძე და ბარბარე მიხეილის ასული ჭრელაშვილები აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და პატივისმცემელთ, რომ შვიდ იანვარს დიდუბის ქართველების ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ყოფილი საბჭოს მდივნისა და ქ. თ. ხმოსნისა, საზოგადო მოღვაწისა და ნიჭიერ ლიტერატორისა

**სტეფანე თეოდორის ძის**

**ჭრელაშვილის**

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 10 საათზედ, პანაშვიდი 12 საათზედ.

2—932—1

## ახალი კლუბი

შაბათს 6 იანვარს დილის 12 საათზე

**გიორგი მამრაძე წაიკითხავს ლექციას:**

### „რუსეთი და საქართველო"

(რუსეთისა და საქართველოს ტრაგიზმის ისტორიულ-ფილოსოფიურ ანალიზის ცდა).

ბილეთები იყიდება ქართულ სახიეში—ფასი 5 მან. 1 მანეთამდე.

(1—1)

## ამიერ-კავკასიის ბანკში

(თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5)

### იყიდება

ბანკში დაარსებულ ქართულ ნავთის საფრთხეხოდების-საპრწყინობის საზოგადოების აქციები 1000, 3000, 5000, 10000 და 25,000 მანეთიანი

დაწვრილებითი ცნობები მიიღება: თბილისში, იმავე ბანკში, ბაქოში—საზოგადოების კონტორაში გორჩაკოვის ქ. № 4.

თ—766—48

განათლება-მრეწველობის მინისტრის უწყების ქვეშ მყოფი კომერციულ

### —— ცოდნათა კურსები ——

## ტ. მ. ფილოიანისა

**ორთავე პირთა სქესისთვის**

(თბილისი, მიხაილოვის პროსპექტი № 24. ტელეფონის № 9—76.

თხოვნების მიღება საღამოს 4-დან 8 საათამდე.

სწავლის დაწყობა იანვრის 15-დან. პროგრამები და წესები მსურველთ გაეგზავნებათ. კურსების კანცელარიაში მათი უფასოდ მიღებაც შეიძლება. აგრეთვე გახსნილია სპეციალი კურსები ოფიცერთათვის. (20—918—7)

---

## მიიღება ხელის მოწერა

### ეროვნულ-დემოკრატიულ

### ყოველ-დღიურ გაზეთ

1918 წ. წელ. მეოთხე

## „საქართველო"-ზე

1918 წ. წელ. მეოთხე

### გაზეთში უახლოეს თანამშრომლობას ეწევიან

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აბესაძე ალექსანდრე | გორგაძე სერგი | იაშვილი პაოლო | ლორთქიფანიძე ნიკო | ნიკოლაძე ნიკო | ყიფშიძე გრიგოლ |
| აბულაძე იუსტინე | გორდეზიანი გიორგი | ინ. ბ-ნი | მარგველაშვილი ტიტე | რობაქიძე გრიგოლ | პრ. ცაგარელი ალ. |
| ახნაზაროვი არ. (ჩრდილა) | გუნია ვალერიან | ინგოროყვა პავლე | მაყაშვილი კოტე | ქარუმიძე შალვა | წერეთელი ვასილ |
| ადამაშვილი მ. | გვაზავა გიორგი | დოქ. კეკელიძე კორნელი | მეტრეველი იოსებ | ქვარიანი ხვიჩინ | ჭიჭინაძე ზაქარია |
| გაბაშვილისა ეკატერინე | დადიანი შალვა | ლეონიძე გ. | ღუტუ მეგრელი | ყიფიანისა ნინო | ჯანაშვილი მოსე. |
| ბარნოვი ვ. | ვართაგავა ბოლქიტი | ლორთქიფანიძე იასონ | | | |
| განდეგილი | თაყაიშვილი ექვთიმე | | | | |

**გაზეთს ჰყავს საკუთარი კორესპონდენტები საქართველოს ყველა ცენტრებში და პროვინციაში.**

**საგანგებო დეპეშები პეტროგრადიდან, მოსკოვიდან და უცხოეთიდან**

**გაზეთის ფასი:** 1 წლით — 50 მან.; 6 თვით — 27 მან.; 3 თვით — 13 მ. 50 კ.; 1 თვით — 4 მ. 50 კ.

### ცალკე ნომერი 20 კაპ.

ერთის თვით გაზეთის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ თბილისში

ფოსტით გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით: Тифлисъ, контора газ. „САКАРТВЕЛО", почт. ящ. 76.

კონტორაში ხელის მოწერა მიიღება დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი: 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით.
მისამართი: სასახლის ქ. № 5, ქართული ქარვასლა. 15—73 ტელეფონი.

---

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ყველა კომიტეტებს

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტის საორგანიზაციო სექცია გთხოვთ დაჩქარებით მიაწოდოთ მას თქვენს რაიონში პარტიული ცხოვრების შესახებ შემდეგი ცნობები:

1. როდის დაარსდა პარტიული კომიტეტი და სია კომიტეტის წევრებისა.

2. რამდენი წევრია ჩაწერილი პარტიაში და თუ რეგისტრაცია არ ხდებოდა ვარაუდით რამდენი მიაჩნია კომიტეტს შეგნებულად ეროვ. დემოკრ. პარტიის მომხრედ.

3. რა ბიუჯეტი აქვს კომიტეტს და მომავალი ნავარაუდევი ხარჯთაღრიცხვა.

4. ჰყავს თუ არა კომიტეტს პროპაგანდისტები ადგილობრივ მცხოვრებთაგან და თუ არ ჰყავს, შეუძლიან თუ არა იყოლიოს?

5. საარჩევნო კომპანიის შედეგები.

6. მთავარი კომიტეტის საორგანიზაციო სექცია გთხოვთ დაუყოვნებლივ მიაწოდოთ მას ეს ცნობები, რათა მას შეეძლოს ჰქონდეს მეორე პარტიულ ყრილობას, რომელიც დანიშნულია იანვრის 14-სათვის, წარუდგინოს სრული ანგარიში პარტიულ ორგანიზაციების შესახებ და აგრეთვე შეიმუშაოს მ ომავლისათვის სასურველი წესი პარტიულ ორგანიზაციების მოწყობისა.

**მთავარ კომიტეტის საორგანიზაციო სექცია.**

---

### ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის

## მეორე ყრილობის

### (კონფერენციის)

მომწყობი კომისიის დადგენილებით ყრილობაზედ გასაგზავნი წარმომადგენელი უნდა აირჩეს ადგილობრივ ორგანიზაციის წევრთა საერთო კრებაზედ ყოველ ას ნამდვილ წევრზე ერთი. სადაც ას წევრზე ნაკლებია, იქაური ორგანიზაცია არ ჩენების მოსახლეებად მახლობელ ორგანიზაციას უნდა შეუერთდეს. დელეგატებს მანდატებთან ერთად თან უნდა ჰქონდეთ ადგილობრივ კომიტეტის მიერ დამტკიცებული საარჩევნო ოქმი ამომრჩეველთა სარეგისტრაციო სიით ეს ცნობები კონფერენციის სამანდატო კომისიას უნდა გადაეცეს.

**საქ. ერ. დემ. პარტიის მთავარი კომიტეტი.**

---

### საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარ[illegible]

## თბილისის მე-8 და 9 უბნების კომიტე[illegible]

ამით აცხადებს წევრთა და თანამოაზრეთა საყურადღებოდ, რომ [illegible] იანვარს შუადღის 12 საათზე დანიშნულია კრება, (მესამე მომ[illegible]იგვ[illegible]ელ-მ[illegible] მართლის დარბაზში (ტურგენიევის ქუჩა სახლი № 4).

**კრების საგანია:**

1) ახალი გამგეობის არჩევნები.
2) მოხსენება წარსულ მოქმედებისა და სხვა.

**მე 8 და 9 უბნების კომიტეტი.**

---

### საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის

## მთავარი კომიტეტი

იმყოფება ახალ ბინაზე, სასახლის ქუჩა № 5, ქართულ სამეურნეო ბანკის პირდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდ[illegible] დინ და საღამოს 7—9 საათამდინ. ამ დროის განმავლობაში შეიძლება [illegible] გორც ცნობების მიღება, ისე წევრად ჩაწერა და შემოწირულებ[illegible]

---

## სახაზინო თეატრი

**კვირას 7 იანვარს**

თბილისის ქართულ დრამატიულ დასის მსახიობთა მიერ საუკეთესო ძალ[illegible] მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

# ლალაჩი

ისტ. დრ. 5 მოქ. ალ. სუმბათაშვილისა.

მომქმედნი პირნი: ზეინაბი—ეფ. მესხი, ოთარ-ბეგი—ვალ. გუნია, [illegible] შ. შარაშიძე, გაიანე—ტასო აბაშიძე, ზესო—ვასო აბაშიძე, ის[illegible] ჩერქეზიშვილი, რუქაია—თ. [illegible]ოლაშვილი, ანინა—[illegible] ძე, დათი—ალ. იმედაშვილი, ერეკლე—ი. ქავჯაძე, ყარა-იუსუფი—[illegible] კ-შვილი, მაიკო—ნ. ჯავახიშვილი, საბა ბერი—ი. იმედაძე და [illegible]

ბილეთები იყიდება სახაზინო თეატრის კასაში

**დასაწყისი შუადღ. 1-ლის ნახევარზე**

რეჟისორი ვალ. შალიკაშვილი.

გამგე ი. [illegible]

(2—231[illegible]

## თბილისი, იანვრის 5.

# მობილიზაცია საქართველოში

ამ დღეებში საქართველოს ყველა ქალაქებსა, დაბებსა და სოფლებში გამოცხადდება ამიერ-კავკასიის კომისარიატის დეკრეტი ჯარის მობილიზაციის შესახებ. რევოლიუციის ხანის განმავლობაში ეს მობილიზაცია პირველია საქართველოში. სწორედ იმ დროს, როდესაც დროებითი ზავი უკვე ჩამოვარდნილია და მოლაპარაკება სამუდამო ზავის პირობებზეა გამართული, ქვეყნის ინტერესები კვლავ მოითხოვენ ხელახალ მობილიზაციას. და რაც უნდა ძნელი იყოს ომისაგან გაწვალებულ ქართველ ხალხისათვის ეს ახალი ტვირთი მობილიზაციისა, იგი უნდა მოხდეს, უნდა მოხდეს ყოველივე ეჭვის გარეშე, მიუხედავად იმ სიმძიმისა, რომელსაც ის წარმოადგენს მისთვის. მხოლოდ დიდი სახალხო ინტერესები, მხოლოდ დიდი აუცილებლობა, მხოლოდ ერთად-ერთი სურვილი რევოლიუციისაგან მოპოვებულ თავისუფლების შენარჩუნებისა და კიდევ სურვილი საკუთარ ფიზიკურ არსებობის შენარჩუნებისა—აიძულებენ ამიერ-კავკასიის დემოკრატიულ მთავრობას, მოუწოდოს ხალხს ახალ შეიარაღებისათვის.

ერთის მხრივ გატიტვლებული ფრონტი და მეომარ სახელმწიფოს ჯარი, რომელსაც ყოველთვის შეუძლია უარჰყოს დროებითი ზავი, გადმოლახოს საზღვრები, უყოს ჩვენს ქვეყანას ოკუპაცია და ამრიგად ბოლო მოუღოს რევოლიუციას და მეორეს მხრივ დღითი-დღე მოზარდი ანარქია ავით ჩვენს ქვეყანაში, რომელიც ძირს უთხრის იმავ რევოლიუციას და აბათილებს ყველა მოქალაქობრივ თავისუფლებას—გადაუდებლად და აუცილებლად მოითხოვს ამ ჯარის ყოლას. არა იმპერიალიზმი, არა სურვილი ომისა, არამედ ზავი და საკუთარი თავის დაცვა,—აი, წმიდა სიტყვები, რომელიც ეწერება ამ ახლად შემდგარ ჯარის დროშებს. არასოდეს, არამც თუ ამ უმაგალითო ომში, არამედ მთელ ამ 117 წლის განმავლობაში ქართველი ხალხი არ ყოფილა მოწოდებული ჯარში წასასვლელად ასეთ წმიდა მიზნებისათვის. და ქართველმა ხალხმაც, რომელმაც მრავალჯერ დაღვარა თავისი წმიდა სისხლი რომანოვების ჩვენს ქვეყანაში, ას ჩვიდმეტი წლის სასტიკ და შავბნელ ბატონობის დროს, უნდა ღირსეულად შეაფასოს თანამედროვე მომენტიც და წმიდა, სახალხო მიზნებიც ახალის მობილიზაციისა და შეასრულოს თავისი მოვალეობა საქართველოსა და რევოლიუციის წინაშე.

ღრმა ხალხოსნური აზრი ამ მობილიზაციისა იქიდანაც სჩანს, რომ მას წინდაწინვე ნავარაუდევი აქვს ყველა ის მძიმე შედეგები, რომელიც მას მოჰყვება. და ამიტომ ნავარაუდევია მაქსიმალური შემსუბუქება ამ ძნელი ტვირთის ტარებისა. ამიტომ ყველაზედ უწინ აღსანიშნავია, რომ მობილიზაცია გაგრძელდება არა უმეტეს ექვსი თვისა. ექვსი თვის შემდეგ ეს ჯარი უნდა დაიშალოს. დეკრეტი არავითარ განსხვავებას არ ნახულობს მდიდარსა და ღარიბს, ნასწავლსა და უსწავლელ შორის და ყველა იმ წლოვანების ქართველნი, რომელთაც კი შეეხება ის, თანაბრად უნდა გამოცხადდნენ როგორც უბრალო ჯარისკაცები მიჩენილ ადგილს და ერთნაირად სწიონ ჭაპანი სამსახურისა. მხოლოდ ავადმყოფებს და ოჯახის მარჩენალებს მიეცემათ შეღავათი. აღსანიშნავია აგრეთვე და ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს გაწვეულთათვის, რომ ისინი თავს მოიყრიან თავიანთ მაზრებში და იქვე შეადგენენ ერთეულებს, ერთის სიტყვით ყველა ზომებია მიღებული, რომ მობილიზაცია ხალხოსნური იყოს და ხალხსაც ადვილად შეეძლოს მისი მიღება.

და რაც უნდა ძნელი იყოს, მიუხედავად ამ მიღებულ ზომებისა, ეს მობილიზაცია, რაც უნდა დაღალული იყოს ქართველი ხალხი ომით და მობილიზაციებით, ჩვენ ღრმად გვწამს, რომ რევოლიუციისა და საქართველოს უმაღლეს ინტერესების გულისათვის ქართველი ხალხი ერთი კიდევ შეიკრიბება, ერთხელ კიდევ გაიღებს მსხვერპლს და ერთხელ კიდევ ჩაიბმება მძიმე უღელში—რათა უკანასკნელად დაამარცხოს ომი, და შექმნას თავისთვის ის პირობები ცხოვრებისა, რომლებიც მიანიჭებენ მას ზავსა და თავისუფლებას.

ჩვენ მოუწოდებთ ყველა ჩვენ თანამოაზრეებს, რომელთათვის დღესაც ძვირფასია თავისუფლება და საქართველო და რომლებიც დღესაც ჩვენთან ერთად გრძნობენ, რომ საქართველოც და თავისუფლებაც განსაცდელშია, რომ მზათ იყვნენ ამ მსხვერპლისათვის.

# საინგილოს გასაჭირი

ნახევარი წელიწადია რაც საინგილოში სწარმოებს შესაზარი ამბები და ჩვენმა ფართო საზოგადოებამ კი არაფერი იცის რა ამის შესახებ რაოდენიმე სწორე და მართალი სიტყვა. გაზეთებში არ ისმოდა უსამართლობით აღგზნებულ ხალხის მძვინვარე ხმა, მისი სულისკვეთება. მოგვდიოდა დეპეშის მშრალი ცნობები, ეს დაჰკლეს, ის მოჰკლეს, აქ დაგვარბიეს, იქ გაგვამაჰმადიანეს, მუნ აგვაწიოკესო. თვით ჩამოსულების ნაამბობიც ეგეთივე მოკლე იყო. მაგრამ ამ მოკლე ცნობებიდანაც სჩანდა, რომ ინგილოებს აწვებოდა უშველებელი ტალღა, რომელიც ამობოქრებულიყო მათ წასალეკად. და რომ ინგილოები იმ ყოფაში იყვნენ, რა ყოფაშიაც შეიძლება იყოს წინ წყლით და უკან მეწყერით მომწყვდეული ადამიანი. [illegible] იქ-ურებს თქვენი გასაჭირი, თქვენი ჩივილი სავსებით წარმოუდგენით ამიერ კავკასიის კომისარიატს, ქართულ ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, მათ უწმიდესობათ — პატრიარქ კირიონს და შეიხ-ულ-ისლამს ფიშნამაზ-ზადეს და მაჰმადიანთა ეროვნულ კომიტეტს, მაგრამ ასეთი მოწოდება დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. მშრალი, ხშირად, უწინანდელზე უფრო ძლიერი დეპეშები და საჩივრები კვლავ მოდიოდა, მოდიოდა.. მაგრამ 30 დეკემბერს თბილისში მიღებულ დეპეშამ გაგვივსო მოთმინების ფიალა და იგი გავგზავნეთ კარგ ნივთიერ საბუთად, რომ საქართველოს ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში წარვედგინა შემდეგი მოხსენება.

„გასულ წლის გაზაფხულიდგანვე ქართველ ინგილოებს გადაეკიდა მეზობლების გაფანატიკოსებული ნაწილი. ჯერ იყო და დააწიოკეს ყორაღნელები—ძალით გამაჰმადიანება მოუნდომეს. ეს დანაშაულობა დაუსჯელად დასრულდა: ეს დიდსულოვნობა კომისარიატის მხრივ ხსენებულ ფანატიკოსობას მის უძლურებად მოეჩვენა, და უმეტესის გაბედულობით დაუწყო ინგილოებს რბევა, ძარცვა, ხოცვა. სხვა რომ არ ჩამოვთვალოთ, ინგილოების აუტანელ ყოფა-ცხოვრების გასაშუქებლად საკმაოა დავასახელოთ საზარელი მკვლელობა თასმალოს მღვდლის ყულოშვილისა და ყორაღნელთა მოლდავის საკნელაშვილისა, აგრეთვე აქვე მოგვყავს 30 დეკემბერს მიღებული დეპეშა შესახებ ინგილოების სოფლების და ბინების დარბევისა მთელის 30 ვერსის მანძილზე. აი სიტყვა-სიტყვით დეპეშის შინაარსი:

„დაარბიეს ქეშკუთანი. გაურეკეს 29 მინდორს, 30 ტიმოთეს, ალიბეგს 120 თავი მსხვილი საქონელი, მოკლულია გიორგი მურთუზას ძე; ქოთუკლუ: დაცემის დროს მოკლულია ორი; აღიბეგლოელთაგან დაჭრილია ორი; ყარამეშეს: გაირეკეს 11 თავი საქონელი; დაეცნენ დალ-ალათემურს, ჩიგლოდამ პაპიაშვილს გაურეკეს 600 თავი ცხვარი. მცირე ბინები აიყარნენ (გადმოსახლდნენ). დამნაშავენი ძარცვისა ნუხელებია" (ნუხას მაზრელები).

„ეს დეპეშა ხელმოწერილია კარგად ცნობილ პაპიაშვილის და ზაჩალიაშვილის მიერ. კერძო ცნობებიდამაც სჩანდა, რომ ჩვენი სამშობლოს საინგილოს თავზე ხელაღებულებისაგან ისედაც აწიოკებულ და თავზარდაცემულ იყო და ახლა ამას დაემატა კიდევ ეს უკანასკნელი მოსვლა. თურმე ფანატიკოსები ინგილოებისაგან მოითხოვენ ან გამაჰმადიანებას ან აყრას, და ან ერთის და ან მეორის განსახორციელებელ საშუალებად მიუჩნევიათ რბევა, ხოცვა მოთავე კაცებისა, თავზარდაცემა ქრისტიან ინგილოებისა. უწინაც ებრძოდნენ ინგილოებს კაციჭამია ბრბოები, მაგრამ მაშინ ინგილოებში სუფევდა დიდი ერთობა, სიმტკიცე პირისა, ახლა-კი მზაკვრულ რეჟიმმა იგინი გაახალკევა ისე, რომ დღეს თვით მაჰმადიან ინგილოების უმეტესობა ქრისტიან ინგილოების მოწინააღმდეგე ბანაკშია და თავისივე მოძმეებსა და ნათესავებს აღარ ინდობს. წარმოუდგენელია ეროვნულ მაღალ დაწესებულებას ამ მოხსენებას, [illegible] იგი რაიმე საბჭოს [illegible] ყოვლად უნუგეშოდ დატოვებულ ხალხისა, იმ ხალხისა, რომელსაც თავის წარსულ გმირულ ცხოვრებით დაუჯილდოებია საქართველოს შორეულ აღმოსავლეთ კუთხისთვის. ჩემის მხრივ დაუყოვნებლივ და აუცილებლივ საჭიროდ მიმაჩნია საქართველოს უმაღლეს საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტმა შეთანხმებით მაჰმადიანების ამგვარსავე კომიტეტთან წინადადება მისცეს ამიერ-კავკასიის კომისარიატს ა) ახლავე, რაც შეიძლება მალე, ზაქათალის და ნუხის მაზრებში წარგზავნოს—ლოცვა-კურთხევით და შეთანხმებით მის უწმიდესობის შეიხ-ულ-ისლამის ფიშნამაზ-ზადესი, მუფტისა და მის უწმიდესობის კირიონისა—მქადაგებლები ძმობისა, სიყვარულისა და ურთიერთის შეწყნარებისა საკეთილდღეოდ ყველა იმ ერისა და გამარჯვებისათვის იმ რევოლიუციისა, რომელიც არ არჩევს ელინს, ებრაელს, სკვითს და რომელიც ეთაყვანება მხოლოდ თანასწორობას ყველა ხალხთა შორის მიუხედავად მათის ჩამომავლობისა, ენისა და სარწმუნოებისა და ბ) დაუყოვნებლივ გაგზავნოს აგრეთვე ქართველ და მაჰმადიან ნაფიც ვექილთა კოლეგია პირუთვნელ გამოძიების მოსახდენად და გასაგებად იმისა, ვინ არიან ის ვაჟბატონები, რომლებიც ინგილოების დარბევის საქმეში ხელმძღვანელობენ ფანატიკოს უმეცართა ლაშქარს. 1 იან. 1918. ქ. თბილისი".

აწ ამ მოხსენებას ვაქვეყნებთ, რათა მთელმა საქართველომ, რომელსაც ინგილოები ვით დღეს, ისე მუდამ უყურებდნენ როგორც თავის პატრონს, თავის განუყოფლობას, გაიგოს, რა ცეცხლი ტრიალებს სრულიად უდანაშაულო ინგილოთა შორის და მათ დასაცველად აღიმაღლოს თავისი უმანკოლი ეროვნული მძლავრი ხმა. თქმულია—ძმა ძმისთვისაო შავი დღისთვისაო. ინგილო ქართველებს შავი დღეც უკვე კარს მოადგომიათ მისი პირველად. საჭიროა არა თუ თანაგრძნობა, არამედ სწრაფი დახმარება ეროვნულ მძლავრ ხელის მიწვდენით, მაგრამ არა სისხლის აღების განზრახვით, არამედ მშვიდობის ქადაგებით საყურველ მშვიდობის დასამყარებლად უბედურ, გარნა შვენიერ მზიან საინგილოში.

მ. ჯანაშვილი.

# პური და სანახაობანი

დღეს, აჟარებულ და ათასგვარ ლოზუნგების ხანაში, ყველაზე დაუდგრომლად, ყველაზე მკაფიოდ და მძლავრად გაისმის ერთი ლოზუნგი: „პური". ამ ლოზუნგით არ იმართება მიტინგები და დემონსტრაციები. ამ ლოზუნგს გაზეთების პირველ კაბადონზე არ ბეჭდავენ არშინიანი ასოებით, როგორც ლოზუნგებს: „მთელი ძალა უფლება მუშათა საბჭოებს", „მთელი ძალა უფლება დამფუძნებელ კრებას". მიუხედავად ამისა ფურნეების წინ მდგარი დიდრონი, გაუთავებელი „კუდები" თავისთავად ცხადჰყოფენ ლოზუნგის „პურის" არსებობას.

ბუნებრივია ასეთი ლოზუნგის არსებობა დღევანდელ დროსა და გარემოებაში; მშიერი კუჭით ხალხი არამც თუ საბჭოებს და დამფუძნებელ კრების სრულუფლებიანობას ვერ განამტკიცებს, არამედ ვერც თავის არსებობას შეინარჩუნებს. თავდაცვის ინსტინკტი უკარნახებს ხალხს ამ ლოზუნგს. ეს ბუნებრივია და გასაგებიც.

პირველის მიხედვით ერთმა ანორმალურმა მოვლენამ იჩინა თავი: პურის მოთხოვნილებასთან ერთად მეორენაირმა შიმშილმა იჩინა თავი; საზოგადოების ყველა წრეებში გაიღვიძა სანახაობის წყურვილმა. ხშირად ვხედავთ: ფურნეებთან და თორნეებთან გაწოლილი „კუდები" გაცილებით მცირეა, ვიდრე თეატრ-ცირკ-კინემოების კასებთან. ყველა, „ბურჟუა" და „პროლეტარი" ერთნაირის გზნებით ესწრაფვის სანახაობას.

ამ დღეებში გაზეთებში ცნობა იყო: რუსეთის ერთ ერთ ქალაქში აჟარებული ხალხი ჩვეულებრივად მიაწყდა კინემატოგრაფს, მაგრამ, რაკი ყველამ ვერ იშოვა ბილეთები გარედ დარჩენილებმა დაამტვრიეს კინემატოგრაფის მოწყობილება და პლაკატები აახიეს, სწორედ ისე, როგორც მშიერი ბრბო ფურნეებს არბევს ხოლმე. მაგრამ მაშინ, როდესაც პურის მოპოვებას მშიერი კუჭი უკარნახებს ადამიანს, ეს არ ითქმის სანახაობის წყურვილზე: მიუხედავად ამისა სანახაობის წყურვილი თითქოს უფრო დიდია, ვიდრე პურის მოთხოვნილება.

მშვიდობიან დროს თბილისში 3—4 მუდმივი დასი მუშაობდა, ეხლა-კი 4-ჯერ მარტო ცირკი მუშაობს, კინემატოგრაფები გამრავლდა და 4—5 ახალ სათეატრო დასი მიემატა. საგულისხმიეროა, რომ სერიოზული დრამისა და ოპერისადმი ინტერესი თითქმის არ გაზრდილა, პირიქით, ხალხს უშინაარსო, არა სერიოზული უბრალო სანახაობანი იტაცებს.

ეს მოვლენა თუმცა თავის ბუნებით ამ დროში და იმ პირობებში, რომელიც დღეს არსებობს, ანორმალურია და შეუფერებელი, მაგრამ კიდევ შეგვეძლო გვერდი აგვეხვია მისთვის. თუ კი უფრო [illegible] გამოხატულ სტიქიურ [illegible] გასართობებით და გავითვალისწინებთ ყველა იმ შედეგებს, რომელიც მას მოჰყვება ბუნებრივად, ჩვენთვის აშკარა გახდება, რომ ხსენებული მოვლენა არამც თუ ანორმალური და შეუფერებელია, არამედ მავნეც და დამღუპველიც.

გასართობებით გატაცება იმ დროს, როდესაც ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში არაა ჩამდგარი და საზოგადოების ყველა წრეებისაგან ჩვეულებრივ მუშაობის გარდა მოითხოვს შემოქმედებით მუშაობას, ჩვენ იმას ვხედავთ, რომ ხალხის ფართო წრეები [illegible] უშინაარსო სანახაობა-გასართობებით, იმის მაგივრად, რომ დაგუბებული ენერგია მოხმარდეს ცხოვრების ახალი ფორმების და ეკონომიურ ღირებულებათა შექმნას. ხალხის შეგნებაში თავისუფლება და ლაღი პირობები მიზნად დარჩა და არა საშუალებად უკეთესი ცხოვრების შექმნისათვის.

ხალხი დაკმაყოფილდა იმით, რაც აქამომდე მოხდა და არა აქვს შეგნებული შემოქმედებითი მუშაობის საჭიროება.

შ. თუბალი.

# ომი

## როგორ სტოვებს რუსის ჯარი კავკასიას

### „კავკასია რუსეთი არ არის"

არზრუმიდგან მიმავალმა რუს ჯარის კაცებმა დასტოვეს 400 მძიმე ზარბაზანი. ამ ამბავმა რუს ოფიცრებში პროტესტი გამოიწვია. „თქვენ ჰღუპავთ რუსეთს", განუცხადეს ოფიცრებმა ჯარის კაცებს—„კავკასია რუსეთი არ არის, მიიღეს პასუხი ჯარის კაცებისაგან.

# ბოლშევიკების დიქტატურა

## კერენსკის ჯამაგირი.

ბოლშევიკებმა სახედრო სამინისტროს კანცელარიის არქივებიდან აღმოაჩინეს, თუ რა ჯამაგირი ეძლეოდა ყოფილ მთავარ სარდალს ა. კერენსკის. 1) წლიურ ჯამაგირად ეძლეოდა 42,000 მანეთი, ანუ თვეში 3.5[illegible] 2) ამას გარდა სამგზავროდ ეძლეოდა თვეში 2000 მანეთი.

## საალყო წესების მოხსნა მოსკოვში.

მოსკოვის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების პრეზიდიუმმა დაადგინა მოხსნას მოსკოვში საალყო წესები და გააუქმონ გაზეთებზე წინასწარი ცენზურა. ქრისტეშობისთვის 22-ს მოსკოვში ყველა გაზეთები გამოვიდა „რუსკოე სლოვოს" გარდა.

# ქართული ხელოვნება 1917 წ.

წარსული წელი ქართულ მწერლობისათვის ტრაგიკულით გათავდა. შობის წინა ღამეს დამარხეს კიტა აბაშიძე. კიტა აბაშიძის სახელს სწორად გაიყოფენ: ქართული პოლიტიკა და ქართული ლიტერატურა. მისი მაღალი ჩრდილი დიდხანს დარჩება ორთავეს. ქართულ კრიტიკას წარსული არ ჰქონია, კიტა აბაშიძემ ის დაიწყო თავის თავიდან და უკანასკნელ წლებამდე ერთი იყო მარტო, სხვა მისი თანამედროვენი მოგონებით არავის შეაწუხებენ. კიტა აბაშიძე თვითონაც გარკვევით ამბობდა, რომ იცავდა კრიტიკაში ფრანგულ ტრადიციებს, ამ დროის ფრანგულ კრიტიკაზე კი თვითონ ფრანგები იტყვიან, რომ ცხრა ნაცნობ დებს მუზებისას მიემატა კიდევ ერთი და—კრიტიკის. კიტა აბაშიძის გაგებისათვის ასანიშნავია ერთი მგრძნობიარე ჩვეულება ფრანგული კრიტიკის—სიყვარულით მიკერძოება—ბრბო არას დროს არ უნდა მიიყვანო იმ ადგილზე, სადაც დამნაშავეთ სჯიან, მე ვიწვევ იმას მხოლოდ დიდების დღესასწაულზე,—იტყვის რემიდე გურმონი. კიტა აბაშიძეც უმართავდა ქართველ მწერლებს დიდების დღესასწაულებს და სულაც მისი ბრალი არ არის, თუ ზოგიერთებს დღესასწაული შავდღეებათ შეეცვალათ.

საკმაო არ იყო კიტა აბაშიძის ბუნებისათვის, რომ ეს მწერლები ქართულ ბანალობაში დაჩრდილვას გადაერჩინა. მთელ თავის სიცოცხლეში კიტა აბაშიძე იწოდა გაუნელებელი ენტუზიაზმით, ბევრნაირად გამოჰყო მან ფრანგულ ადტაციებს სკეპტიციზმი და ირონია, რაც დამოლოს შეადგენს საფრანგეთის სიმახვილეს და ამიტომ დარჩა მისი ბრიუნეტიერი ნახევარზე ნაკლები, მაგრამ საქართველოში სხვანაირად არც კი შეიძლებოდა, აქ დარჩება უკვე იწვევს ნამდვილ სიკვდილს, და რამდენი დაანებებდა თავს მწერლობას, რომ საკუთარი თავის ანალიზის ნიჭი მისცა, მხოლოდ შეუგნებლობა კვებავს ზოგიერთების ჯიუტობას. კიტა აბაშიძის დაფასება შეუძლებელია მარტო ნაწერებით, მისი გავლენა და სიყვარული უფრო კერძო, პირადულ მოქცევით აიხსნება, როცა საცნაური ხდება უკანასკნელი ინტიმი.

რა იქნებოდა მალარმე, რომ მის მეგობრებს არ გადმოეცათ სული მისი ოთახის და ხუთშაბათების, აქ ოქროს ყალიონი და შავი კატა ლიზისა, უფრო ბევრის მთქმელია, ვინემ ზოგიერთი თავი „Divagations"-ის. ლიტერატურის ისტორიაც კი ინახავს ზოგიერთ ძვირფასს სახელებს, რომელთაც ერთი სტრიქონიც არ დაუწერიათ, განა მაინც დაავალეს ხელოვნება. ამგვარი სახელები ესტეტების იცის ევროპამ და მარტო ერთი თავადი ურუსოვი, გამართლებს რუსეთს, რომელმაც პირველად გამოსცა შევსებული შ. ბოდლერი.

ვინც მარტო მიჰყვებოდა კიტა აბაშიძის კორტეჟს და ისმენდა გაცვეთილ სიტყვებს „ოქროპირზე" და „გონივ დიაკვანზე" (ზოგი კიტას მკოსანსაც ეძახდა) და „უკონტრიბუციოდ და უანექსიო ზავზე" შეიძლება იქნება თუ დაასკვნის, რომ კიტა დაუფასებელი დარჩა. სიკვდილის ორი საათის შემდეგ, როცა ჩვენ ვიყავით მიცვალებულთან: კიტას ახლობლებთან ერთად სტიროდენ ძველი პორტრეტები კედელზე, და თავი თითქმის მიდებული ჰქონდა საწიგნე შკაფთან, საიდანაც იყურებოდენ წვრილი ტომები ფრანგ პოეტების. ზალაში იდგა სითეთრე.

და ერთი ჩვენთაგანი, რომელმაც იმერულ აზნაურივით მიუტირა ცხედარს თავის სონეტს კიტაზე ასე იწყებს: „ამხანაგებო! თოვლში დამხრჩვალს აგავდა კიტა!.."

დამარხვის დღესაც დიდუბის გალავნის გარეთ, ძალიან გვიან დამემდი ამბობდენ სიტყვებს კიტაზე და ძალიან შთაგონებულსაც, ისეთ ადგილას, სადაც ლიტერატურული ბოგემა იკრიბება.

სხვაგან გაყოფილია როლი ლიტერატურის ისტორიკოსის და მხატვრულ კრიტიკოსის, კიტას ორივეს შეერთება უხდებოდა. ხანდისხან მას თავის შეხედულება სკოლაზე ან მიმართულებაზე გადაქონდა პიროვნებაზე და ამიტომ ერთხელ თავის სიცოცხლეში ცუდათ მოიხსენია გიორგი წერეთელი—როგორც ნატურალისტი და სიმბოლისტებში შეიყვანა ისეთი პოეტები, რომელთათვის მეტი იყო არა მარტო სიმბოლისტის, არამედ პოეტის სახელიც. როგორც კრიტიკოსს კიტა ყოველთვის ირჩეოდა გამბედაობით, სხვაგან ამგვარი გამბედაობა მოვალეობაა, კიტასთვის კი ეს გმირობა იყო რადგან ამის ნებას არ აძლევდა პოლიტიკა და ისიც ქართული. ვის არ ახსოვს, როგორი აღელვება გამოიწვია ხავსიანი მწერლებისა კიტა აბაშიძემ „ცისფერი ყანწების" პოეტების მიღებისთვის!..

როგორც პოლიტიკოსი ის იყო ანთებული პატრიოტი, პუბლიცისტიკაში მან შეიტანა ფრანგული ფელეტონის ჰკუა-მახვილობა და არასდროს არ უგრძვნია მის სულს ორმაგობა.

თუ ზღანოვიჩი და ჯორჯაძე აჩვენებენ ორ პოლიუსს საკუთარ პარტიისას, სოციალისტურს და ეროვნულს, მაშინ კიტა სამართლიანად დაიმარხა ჯორჯაძის გვერდით, მათში ბევრი იყო საერთო, თუმცა კი ეს ისე არ დატანჯულა საქართველოში, როგორც არჩილი. ეს სტრიქონები კიტა აბაშიძეზე ასეთ წერილში იქნებ ბევრია, რამ გამწარებულ წელს მისი სიკვდილი ყველაზე დიდი ლიტერატურული მოვლენაა. ამ ხნის განმავლობაში არც ერთი ახალი პოეტის წიგნი არ გამოსულა, არც პერიოდული ჟურნალი ყოფილა, სადაც რამე დაბეჭდილიყო. პოეტები, რომელნიც მიჩვეულნი იყვნენ საკუთარი სადამოების გამართვას, წელს ამასაც ვერ ბედავდნენ და გამოდიოდნენ მხოლოდ პარტიულ სადამოებზე, როგორც პროვინციაში, ისე თბილისში, და პოლიტიკურ დესერტისთვის კითხულობდნენ ლექსებს. ერთ ამისთანა სადამოზე დაპატიჟებული იყო რუსის პოეტი კ. ბალმონტი, რომელიც მაშინ სტუმრად იყო თბილისში. ბალმონტის ჩამოსვლას შეეძლო ლიტერატურულ დღესასწაულად გახდომა. მან ჩამოიტანა დათავებული „ვეფხის ტყაოსნის" თარგმანი, მაგრამ საქართველოში ის ცივად მიიღეს. ამ პარტიულ სადამოზე იმას ნაკლები პატივისცემა ხვდა წილად, ვინემ შინ გაზრდილ პოეტებს. ქართველებმა დაივიწყეს როგორც ესტეტიური სინიდისი, ისე ტრადიციული სტუმართ-მოყვარეობა.

წელს უნდა გამოსულიყო ნ. ბარათაშვილის საიუბილეო აკადემიური გამოცემა. აკადემიკოსთა შემადგენლობას წინდაწინ ეტყობოდა, რომ აკადემია ფრჩხილებში იქნებოდა ჩასასმელი, მაგრამ ბევრ მიზეზის გამო ეს წიგნი მაინც არ გამოცემულა, რაც უთუოდ სამწუხაროა.

ი. გრიშაშვილი თითქო ჯანგებ ბეჭდავდა წლის განმავლობაში სუსტ ლექსებს, რომ ფონი გაეკეთებინა „შეითან-ბაზრის ტრიოლეტების"-თვის. ეს ლექსი საუკეთესოა მის ლექსებში. ეს ტემა ეკუთვნის პავლე იაშვილს, გარდა იმ სონეტისა შეითან-ბაზარზე რომელიც შედის მის თბილისის სონეტების რკალში, შეითან-ბაზარი ნახსენებია „ქართველ პიეროში" (რაზედ არ ვაგრძელებ, რადგან ლექსი ჩემდამია მოძღვნილი) შეითან-ბაზარის პოეზიაში მეტ ნაკლებად საინტერესოა, რომ საჭიროა პრიორიტეტის აღნიშვნა. ი. გრიშაშვილის ამ ლექსში ბევრია კოლორიტული ადგილები: და ეგაა აშოლტს ეტმასნება ქალი ავხორცი", „ქუჩაბანდების ჰამქარი", „ახლიჩეთ წვადი", მაგრამ არის ყალბი ადგილებიც „საქართველოს დარდზე და ბოლმაზე", „ირაკლი მეფის შფოთვაზე". დამშვიდებით ნახმარია ლექსში რითმები „ჰანგ ღვთაებრივი" და „გადანამჭკრივი" რის შემდეგ გაუგებარია სტრიქონი: „არ მომწონს რითმა მესიკისა „გაზი" თუ „რაზი" ო, მესიკის მოწონება სავალდებულო არ არი, მაგრამ ამას მეტი უფლება სჭირია. ფამილიარობამ აგრეთვე საიათნოვასთან სიქრის წაჩხუბება, გრიშაშვილს ჯერ არ დაუმსახურებია ეს. საზოგადოთ გრიშაშვილს ეტყობა ინტერესი ლექსიკონში და ძიება, ასანიშნავია მისი მოხსენება საიათნოვაზე, სხვა პოეტებთან შედარებით ესეც სათნოებაა.

გაჩუმებული იყო გ. ტაბიძე. მისი შეცვლილი სული მოსკოვში უფრო გაცვლდებოდა და ამაზე ალბად ის თავის მეორე წიგნში აჭირდება.

ს. აბაშელი განაგრძობდა ძველ ლექსების ბეჭდვას, მაგრამ ეს ლექსები ძალიან ზანტად იკითხებოდენ. ნიკო ლორთქიფანიძის „დანგრეული ბუდეები" და „კერასთან" არისტო ჭუმბაძის „მთის ასული" და „ჰაეროპლანი" მეტი ძლიერებით აჰყარებენ მათ ახალს მწერლობაში. თუმცა სათქმელია: ამ მოთხრობათა დაწერის შემდეგ საკმაო დრომ გაიარა, იმისთვის, რომ ამ ავტორებს დაებეჭდათ ახალი რამე. მე არაფერს ვიტყვი „ცისფერ ყანწების" პოეტებზე გრ. რობაქიძეზე, პაოლო იაშვილზე, ვალერიან გაფრინდაშვილზე, ლილი ჯაფარიძეზე, და სხვ. ამაზე სხვა დროს და სხვაგან. უნდა ითქვას, რომ მათი ნიშნის ქვეშ მიდიოდა ახალგაზრდა პოეტების შემოქმედება, არ დარჩენილა ერთი პოეტი, რომელსაც არ გაემეორებიოს ვალერიან გაფრინდაშვილის „პლები ქალწული" სხვა და სხვა ვარიაციებით. შეიძლება ცალკე წერილის დაწერა, თუ რა გავლენას ახდენს ახალგაზრდა პოეტებზე: გრ. რობაქიძე, პ. იაშვილი და სხვა ყანწელები. ამ ახალ მიმდინარეობისთვის უფრო ილუსტრაციაა გ. ლეონიძე და შ. კარმელი, რომელიც ქუთაისში იბეჭდება.

წარსულ წელს „დიდების ტაძარში" გაიმართა გამოფენა ქართული ფრესკების, ეს შეიძლება ყველაზე საინტერესო მოვლენა იყოს ქართულ ხელოვნებისთვის. ამ გამოფენამ საკმაოდ ვერ დააინტერესა ქართული საზოგადოება, რომელიც გადაჩვეულია ქართულ წარსული ხელოვნების ცნობას, და დღესაც მარტო არიან ეს წმიდანები ქართულ მუზეუმში, როგორც უწინ მონასტრებში იყვნენ, ცნობის მოყვარენი არ აწუხებენ. ამ გამოფენას თავის დროზე წერილი უძღვნა გერონტი ქიქოძემ, მაგრამ ამ წერილმაც არ გამოიწვია საჭირო გამოძახილი.

თავის სურათები გამოფინა მხატვარმა გ. გაბაშვილმა. მე არ ვიცი, რომელი იყო ამ სურათებში ახალი და ან როგორ მიდის მისი განვითარება, მაგრამ გამოფენა ამტკიცებდა რომ გაბაშვილი ვერ გასცილებია რუსის მხატვრებს რეპინს და ვერეშჩაგინს, რომელნიც ეხლა რუსეთში მხოლოდ „ზამოსკვორეჩიეს" ვაჭრებს თუ აკმაყოფილებს.

ქართულ ხატვართა წრეში [illegible] რესს იწვევდა ნიკო ფიროსმანაშვილი. ზოგი მისი პატივისმცემ[illegible] აპირობს შეაგროვებს ყველა სურათებს, რომელნიც თბილისში მიმოფანტულ[illegible] და ალბად ეს გამოფენა ბევრს გააოცებს ორიგინალური შემოქმედებით.

ხელოვანთა წრეში დაიბადა აგრეთვე აზრი მოქანდაკე იაკობ ნიკოლა-

# გერმანეთის საზავო პირობები

**მუხლი 1-ლი.** რუსეთი და გერმანეთი ოფიციალურად აცხადებენ, რომ მათ შორის ომი დამთავრებულია. გერმანეთი მზად იქნება ზავის ჩამოგდებისა და რუსეთის ჯარის დემობილიზაციის შემდეგ გასწმინდოს მოწინავე პოზიციები და გაანთავისუფლოს რუსეთის სახელმწიფოს ის ადგილები, რაც აღნიშნული არ იქნება მეორე მუხლში.

**მუხლი 2-რე.** ვინაიდან რუსეთის მთავრობამ წამოაყენა პრინციპი ყველა ერების თვით-გამორკვევისა სრულ დამოუკიდებლობისადმი, მან უნდა მიიღოს მხედველობაში განცხადება პოლონეთისა, ლიტვისა, კურლიანდიისა, ლიფლიანდიისა და ესტლიანდიის, რომელთაც უკვე გამოსთქვეს სურვილი სრული დამოუკიდებლობისა და რუსეთიდან სავსებით გამოყოფისა.

**მუხლი მესამე.** ხელშეკრულებანი და შეთანხმების ქაღალდები, რომელნიც ძალაში იყვნენ ომის გამოცხადებამდე, ხელახლად ძალაში რჩებიან, რამდენადაც ისინი არ ეწინააღმდეგებიან იმ ცვლილებებს, რაც ომის განმავლობაში მოხდა.

თვითეული მხარე ვალდებულია ზავის ჩამოგდების შემდეგ, სამი თვის განმავლობაში გამოაქვეყნოს თავისი დამოკიდებულება ამ ხელშეკრულებასთან. ყოველ მხარეს უფლება ეძლევა ერთი თვის განმავლობაში უარი განაცხადოს ამ ხელშეკრულებებზე, ხოლო გაუქმებულ ხელშეკრულების ნაცვლად დადებულ უნდა იქნას ახალი ხელშეკრულებანი.

**მუხლი 4.** თვითეული მხარე უნდა ეპყრობოდეს მეორე მხარის ქვეშევრდომებს, გემებს თუ სავაჭრო დაწესებულებათ არა მტრულის განწყობილებით, ვიდრე სხვა რომელიმე სახელმწიფოს ქვეშევრდომებს, გემებს და სხ.

**მუხლი 5.** ხელშეკრული სახელმწიფოები სცნობენ, რომ ომის გათავების შემდეგ დამთავრებულია ბრძოლა ეკონომიურ ნიადაგზედაც. ამიტომ ისინი ვალდებულნი არიან თავიანთ სახელმწიფოთა საზღვრებში არავითარი ეკონომიური ბრძოლა აღარ აწარმოონ, მხარი არ დაუჭირონ სხვა სახელმწიფოს მეორეს მხარის წინააღმდეგ ეკონომიურ ბრძოლაში და ყოველივე ღონით ებრძოლონ ეკონომიურ ბრძოლის განვითარებას.

მეორე მხრივ ორივე სახელმწიფო ყოველივე საშუალებას იხმარებენ, რომ ხელი შეუწყონ საქონლის ერთი-მეორეში გაცვლა-გამოცვლას.

**მუხლი 6.** შეთანხმებული სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, მოკლე ხანში შეჰკრან ახალი სავაჭრო ხელშეკრულებანი, ხელი შეუწყონ გემთა მიმოსვლას და ურთიერთ შორის ვაჭრობის განცხოველებას.

**მუხლი 7.** ხელშეკრულების დადების გარდა, ორივე სახელმწიფო ვალდებულია, ოცი წლის განმავლობაში შეჰქმნან ერთი მეორისთვის სავაჭრო და გემთა მიმოსვლის საუკეთესო პირობები.

**მუხლი 8.** რუსეთი აცხადებს თანხმობას, რომ დუნაის კომისიას დაევალოს მუდმივი მართველობა და ზედამხედველობა მდ. დუნაის შესართავისა, და რომ ეს კომისია შესდგებოდეს მხოლოდ დუნაის და შავი ზღვის პირას მდებარე სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან.

**მუხლი 9.** სამხედრო კანონები, რომელნიც ზღუდავენ რუსების უფლებას გერმანეთში და გერმანელების უფლებას რუსეთში, უნდა გაუქმებულ იქმნან. კერძო პირების ქონება, რომელსაც ზარალი მიაყენეს ომის დროს, უნდა ანაზღაურებულ იქმნას რამდენადაც ეს შესაძლებელია.

გერმანელ კერძო პირების მამული თუ სავაჭრო-სამრეწველო მადნები, რომელნიც რუსეთის მთავრობამ გაჰყიდა ომის დროს, ხელ-ახლად უნდა დაუბრუნდეს მათს პატრონებს, რამდენადაც ეს მადნები და მამულები არ გამხდარა რუსეთის სახელმწიფოს კუთვნილება.

ზარალის ანაზღაურების გამოსარკვევად, თანახმად მე-2-ე მუხლისა, უნდა შესდგეს ორივე სახელმწიფოს მიერ საგანგებო კომისია.

**მუხლი 10.** შეთანხმებულნი სახელმწიფოები არ თხოულობენ სამხედრო ხარჯების ანაზღაურებას, არ თხოულობენ აგრეთვე იმ ზარალის ანაზღაურებას, რაც ომმა მიაყენა მათ ქვეშევრდომებს ომის სამოქმედო ადგილებზე.

**მუხლი 11.** ორივე მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს ზარალი იმ ქვეშევრდომებს, რომელნიც დააზარალეს უკანონო აქტებით. უნდა ანაზღაურებულ იქმნას დიპლომატიურ წარმომადგენლების და საკონსულო შენობების ზარალი. ზარალის გამოსარკვევად დაარსებულ უნდა იქმნას საგანგებო კომისია.

**მუხლი 12.** სამხედრო ინვალიდები ორივე მხარისა ბრუნდებიან თავიანთ სამშობლოში. დანარჩენ ტყვეების განთავისუფლება უნდა მოხდეს რაც შეიძლება მალე. მათი შესანახავ ხარჯების აუნაზღაურებლად არიდება საგანგებო კომისია. თუ ამ კომისიამ ვერ შესძლო ამ საკითხზე ორივე მხრის შეთანხმება, მაშინ საქმის კეთილად დასაბოლოებლად მოწვეულ იქნება ამ კომისიის თავმჯდომარედ ნეიტრალი სახელმწიფოს წარმომადგენელი.

**მუხლი 13.** რუსის მოქალაქეებს გერმანულ ჩამომავლობისას ეძლევათ უფლება ათი წლის განმავლობაში გადასახლდნენ გერმანეთში, ისე რომ თავიანთი წარმოების ლიკვიდაცია მოახდინონ და მთელი თავიანთი ქონება თანვე წაიღონ.

**მუხლი 14.** ამა თუ იმ სახელმწიფოს სავაჭრო გემები, რომლებიც ომის დაწყების დღეებში მოწინააღმდეგეთა ნავთ-სადგურებში დარჩნენ, უბრუნდებათ მათ პატრონებს. თუ კი ეს შეუძლებელია, მაშინ მათი ღირებულება ანაზღაურებულ იქმნას.

**მუხლი 15.** დიპლომატიური და პოლიტიკური დამოკიდებულება ორივე სახელმწიფოთა შუა უნდა განახლებულ იქმნას მოკლე ხანში.

# უკანასკნელი დეპეშები

ესერების ფრაქციამ გადასწყვიტა რაც უნდა მოხდეს გახსნას დამფუძნებელი კრება იანვრის 5-ს.

—

გაზეთ „მანჩესტერ გარდიანის“ ცნობით ინგლისის მთავრობა არ სცნობს ლენინელ რუსეთის მთავრობას, ვინაიდან ის რყევაშია და მისი კანონიერი წარმომადგენლობა საეჭვოაო.

—

სახალხო კომისრების მთავრობამ ულტიმატუმი წარუდგინა რუმინეთის მთავრობას, იმის გამო, რომ მათმა დივიზიამ არ სცნო ბოლშევიკური წესები და დააპატიმრა ბოლშევიკი ტროცკი-სერგიევი, ამასთანავე ავსტრიელი აფიცრები, რომელნიც სტუმრად ეწვიენ რუსებს, სახალხო კომისრების საბჭო თხოულობს რუმინეთის მთავრობისაგან დატყვევებულთა განთავისუფლებას 24 საათში, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებიან თქვენს ელჩს დიამანტის დავაპატიმრებთო.

—

კავკასიის ლაშქრის ხელმძღვანელმა გენერალ ოდიშელიძემ აცნობა ამიერ-კავკასიის კომისარიატს ოსმალთა ლაშქრის უფროსის ხელით გადმოცემული ენვერ-ფაშას წინადადება „კავკასიის დამოუკიდებელ მთავრობისადმი“ რომ მათს სატახტო ქალაქ თბილისში ოსმალთა დელეგაციას ნება მიეცეს საზავო მოლაპარაკებლად ამოვიდეს.

—

სრულიად რუსეთის რკინის გზების მოსამსახურეთა კავშირში აირჩიეს 15 ბოლშევიკი, 1 ესერი და 1 მენშევიკი.

—

რაკი ბოლშევიკებს მოკავშირეებმა უარი შემოუთვალეს საყოველთაო ზავზე მოლაპარაკებაში მონაწილეობაზე, რუსეთის წარმომადგენლები ბრესტ-ლიტოვსკში სეპარატიულ ზავზე მოლაპარაკებას შეუდგნენ გერმანელებთან. წინასწარ მოხდება მოლაპარაკება სახალხო კომისართა საბჭოსა და უკრაინის წარმომადგენელთა შორის საერთო საზავო პირობების შესამუშავებლად. კიულმანს განუცხადებია, თუ ზავი არ ჩამოვარდა, გერმანელები ახლო მომავალში მძლავრ შეტევას დაიწყებენო.

—

პეტროგრადში გრძელდება რუსეთ-გერმანეთის კონფერენცია. საფოსტო ურთი-ერთობის შესახებ გერმანელებმა განაცხადეს, უცენზუროდ ვერ გაუშვებთ მუშათა პარტიების მიწერ-მოწერასო. ბოლშევიკები ამოშფოთდნენ ამან, მაგრამ დანებდნენ. ბოლშევიკებმა მოითხოვეს აგრეთვე დაუყოვნებლივ დააბრუნონ რუსეთში ყველა პოლონელები და ლიტველები, ამაზედაც მტკიცე უარი მიიღეს.

—

გლეხთა ყრილობაზე ბოლშევიკები აძრავენ საკითხს სრულიად რუსეთში საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის შექმნის შესახებ.

—

ამ წლის პირველ იანვრამდე მეომარ სახელმწიფოებს დაჰკლებიათ სულ 25 მილიონი მეომარი. აქედან მოკლულია მოკავშირეების 6 მილიონამდე, ცენტრალ სახელმწიფოების 3 ნახევარი მილიონი.

—

უკრაინამ 10 მილიონის საკუთარი ფული გამოუშვა.

—

20 თებერვალს ლონდონში შესდგება საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია.

—

სტოკჰოლმის ბანკები რუსეთის ქვეშევრდომებს ბანკში შეტანილ ფულებს აღარ აძლევენ.

—

საზავო მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად დანიშნული 10 დღის ვადა გავიდა. მოკავშირეებს სახალხო კომისრების საბჭოსათვის არავითარი პასუხი არ გამოუგზავნია.

---

ძის ოცი წლის იუბილეს გადახდის.

იაკობ ნიკოლაძე პირველი მოქანდაკეა საქართველოში, ის მოვიდა ოროდენით ხელგამართული. ამ წრიდში შეუძლებელია დაფასების სიტყვის თქმა. მე არ ვიცი სხვა ქართველთა ხელოვანი, რომელიც ასე საყვარელი იყოს თავის წრეში, როგორც ი. ნიკოლაძე. მან როდენის განცდასთან ერთად თბილისში ჩამოიტანა მონმაცის ბოჰემის სიმღერა და მეგრს ატირებდა მისი სიტყვები „სიყვარულის მაზოლებზე“. ჩვენ ჟაკს მეტი სიმწვავით შეეძლო მარმარილოში ატირება, ვინემ მის ორეულს ძმას იაკობინეს, სიყვარულით შეშლილ მერს და ტრუბადურს, მაგრამ საქართველო მოქანდაკეს ყველაზე უფრო ევიწროება. მისი მეგობრები შეეძლებენ მის დღესასწაულს დღესასწაულის ხასიათი მისცენ.

თეატრალურ თბილისისათვის აღსანიშნავია ვალერიან გუნიას იუბილე. დღესასწაული რევოლუციის პირველ დღეებში მოხდა, და ვერ ქონდა ღირსეული ზეიმის ხასიათი, ამაში ბრალი იმათაც აქვთ, ვინც გუნიაში პოლიტიკური მტერი არ დაივიწყა და მისი იუბილე მოცქილ ხალხთა საქმედ გამოაცხადა. ვალერიან გუნია ძველ აქტიორებში მაღალი სახელია და შეიძლება ის ყველაზე უფრო აქტიორი იყოს ამ აქტიორებში, ტყუილად ვინმე ეცდება მისი სახელი ჩამოაშოროს ქართულ თეატრის მიღებულ პრემიერებს, ვალერიან გუნია შესულია თეატრის ყველა უჩინარ ფორიოში.

და მის სახელს ვერავინ გაანადგურებს. ამ იუბილედან ვ. გუნიას მარტო შალვა ამირეჯიბის ფელეტონი რომ დარჩენოდა, მაინც კმაყოფილი უნდა იყოს.

საზოგადოდ ქართულ თეატრზე ამ წელში თუ არაფერი ითქმება უკეთესია, რადგან თეატრი დაცემული იყო. ასეთი გაძარცული ის არ ყოფილა სხვა დროს. დაარსდა მსახიობთა კავშირი, გამგეობაში თავი მოიყარეს შედარებით საუკეთესო თეატრალებმა და მიუხედავად იმისა, რომ შ. დადიანიც თბილისშია, კ. ანდრონიკაშვილიც (კონსტან-ანდრონხი) რეჟისორობს ვ. შალიკაშვილი, რომელზედაც გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ თეატრი მის ხელში ვერასდროს ვერ აცილდება ტრაფარეტს და არა თუ მიღწევა ცდაც კი არ იქნება ახალი ძიების. წელს ქართული თეატრი გადაქცეული იყო „ახალ კლუბში“ ქაღალდის მოთამაშე ქმრების მოსალოდინე, ცოლების გასართობად და არ ყოფილა ერთი წარმოდგენა, რომ ინტერესი გამოეწვია.

წარსულ წელს საქართველოში მხოლოდ პოლიტიკურ პიროვნებას აძლევდა შეძლებას გამოეჩინა თავის ბუნება. მაგრამ რუსეთის უნაყო რევოლუცია არც ჩვენში იყო ბედნიერი ახალი ტალანტებით. საქართველოც გაყრუებული იყო მიტინგური სიტყვებით, რაშიც ყველაფერი იყო გარდა გულწრფელობისა და აღფრთოვანების. თბილისმაც ნახა სახელიანი რევოლუციონერები, როგორც ირაკლი წერეთელი, მაგრამ იმასაც არ შეუტანია ამ რუსობაში განათება. თავის სიტყვებში ის შეუბრალებლად იგერიებდა „ერთობის“ ანონიმურ მეთაურებს და თუ რუსეთში ჰყვიროდა — „ათასჯერ რომ მკითხონ, უნდა ვცოცხლობ რუსეთმა, მე ათასჯერ ვიტყვი — უნდა იცოცხლოსო“, საქართველოში მას საქართველო არც კი უხსენებია. ქართულ პოლიტიკის დიდ დღეთ, მხოლოდ ეროვნულ კრების დღე 19 ნოემბერი იქნება. იმ დღეს ნოე ჟორდანია საქართველოს ბედით იყო შთაგონებული, და განადგურებულია ეს მოგონება. ბევრი რამ შეიქნა მაშინ საცნაური, მთელი რგა თვე იწვის საქართველო რევოლუციის ცხელებით, შეგნებულად თუ შეუგნებლად ამღვრეულია ერის უკანასკნელი სიღრმე ჰაერში დგას კატასტროფის სუნი და ახალი დიდ ამბების მოლოდინი, მალე იქნება უკანასკნელი გამოცდაც, რომელზედაც ჰკიდია ქართული ხელოვნების ბედი, ამდგარ ან დაღუპულ საქართველოში.

**ტიტე ტაბიძე.**

# ქრონიკა

## თბილისი.

◆ **ტრაპიზონის ქართველ მხედართა კავშირის** ტეხნიკურმა სექციამ თანახმად შექმნილი პირობებისა საჭიროდ დაინახა მე 5 ქართულ კორპუსთან არსებულ მე 9 სამხედრო საგზაო რაზმს დაერქვას ქართული პირველი სამხედრო საინჟინერო რაზმი, რომლის უფროსი, შტაბის მოხელენი და ჯარის კაცთა უმრავლესობაც ქართველები არიან. სექციამ დაადგინა აგრეთვე ჩაიბაროს 6 სამხედრო საგზაო რაზმის, ტრაპიზონის ცხის რკინის გზების და ანატოლიის სანაპიროს სამხედრო-ტეხნიკური ქონება.

◆ **ყაზახები და ამიერ კავკასიის საოლქო საბჭო.** ყაზახთა რადამ ამიერ კავკასიის ლაშქრის საოლქო საბჭოს განუცხადა, რაკი საოლქო საბჭო ორად გაიყო და მას სრულ უფლებიანად არა სთვლის, ამიტომ თავის წარმომადგენელს ის უკან იწვევს საბჭოდან. ჩვენ არც ერთ გათიშულ მხარეს არ ვემხრობით, მაგრამ მაინც შეუძლებლად მიგვაჩნია საოლქო საბჭოში ჩვენი წარმომადგენელის დარჩენა, ნათქვამია განცხადებაში.

◆ **ბონების ბეჭვდა.** ამიერ-კავკასიის კომისარიატმა გამოსცა კონკურსი ბონების სურათების შესადგენად. ამ მიზნით მან მიმართა ქართულ, სომხურ და სხვა სახელოვნო დაწესებულებათ წარმოადგინონ საკონკურსო სურათები. ბონაზე კომისარიატი თავმჯდომარის და ფინანსთა კომისარის ხელმწერილი უნდა იქმნეს აღბეჭდილი. ვადა ამ საკონკურსო სურათის წარდგენისა 6 იანვრის დღის 2 საათია დანიშნული. თითო მოწონებულ სურათზე 1000 მანეთი მიეცემა.

◆ **დამფუძნებელ კრების არჩევნების** შედეგი ამიერ-კავკასიაში ჯერ-ჯერობით ამგვარია: № 1 432 458 ხმა, № 2—2280[illegible] № 3—83138, № 4—454741, № 5—77,954, № 6—19,051, № 7—9,881, № 8—19,721, № 9—463, № 10—161,472, № 11—17,028. № 12—126,091, № 13—40, № 14—7878, № 15—3276. ბევრ ადგილიდან ცნობები ჯერ არ მოსულა.

◆ **დამფუძნებელი კრების წევრება** ნ. ჩხეიძე, ი. რამიშვილი, ვ. ლუნკევიჩი, ლ. თუმანოვი, ა. ოგანჯანიანი, ა. ყანატლიანი და ნ. ბერეზოვი დღეს მიემგზავრებიან პეტროგრადში. შესაძლებელია წავიდეს აგრეთვე ევგ. გეგეჭკორი, რომლის თანამდებობას ამიერ-კავკასიის კომისარიატში შეასრულებს მისი ამხანაგი აკაკი ჩხენკელი.

◆ **დახმარება რკინის გზის მოსამსახურეებს.** იანვრის 3-ს ამიერ-კავკასიის კომისარიატმა დაადგინა გადაიდოს საქმე თანხა ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოსამსახურეთა ერთდროულ დახმარებისათვის, თითო მოსამსახურისათვის 100—200 მანეთამდე.

◆ **ქართველ ვაჭართა კომიტეტი.** ეროვნულ საბჭოს საფინანსო კომისიასთან არსებული 40 კაცისაგან შემდგარი თბილისის ქართველ ვაჭართა საფინანსო კომიტეტმა სულ მოკლე ხანში უნდა მოაგროვოს საქართველოში 2 მილიონი მანეთი.

◆ **ხემწიფოების ახალ შენობის გამო** რუსის ეკლესიის კომისიამ, როგორც ჩვენი მკითხველებს მოეხსენებათ, აცნობა, რომ ეს შენობა სინოდის განკარგულებით უნდა გადაეცეს რუსის ეკლესიასო. ამიერ-კავკასიის კომისარიატმა გუშინ აცნობა საკათალიკოსო საბჭოს, რომ ეს შენობა ჯერ-ჯერობით არ უნდა იქნეს გადაცემული საგანგებო განკარგულებამდეო.

◆ **ხარჯი ეროვნულ ლაშქრისათვის.** დღეს, იანვრის 5-ს, საგანგებო კომისია განიხილავს საკითხს შესახებ იმისა, თუ რამდენი ფული უნდა დაენიშნოთ დღიურ ხარჯად ეროვნულ ლაშქრების ჯარისკაცებს.

◆ **ჩვენი თანამშრომლის დაჭრა.** ახალ წლის დღეს, ხაშურადლევის 2 ს., ს. დილომში გამოქცეულმა ჯარისკაცებმა თავის სახლთან დასჭრეს ჩვენი გაზეთის თანამშრომელი და საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ხაზინადარი ილარიონ სოლოღაშვილი და მისი ძმა, დილომის კოოპერატივისა და ბანკის გამგე მამა იოანე სოლოღაშვილი. იმავე დღეს მოჰკლეს დილომის კომისარი ცფრემ სოლოღაშვილი.

# სასურსათო საქმეები

◆ **სასურსათო ყრილობა.** დღეს, იანვრის 5-ს, დილის 10 საათზე, საოლქო სასურსათო გამგეობის ბინაზე (მიხაილოვის ქუჩა, სახ. ორბელიანისა) დაიწყება სასურსათო ყრილობა.

◆ **უპურობა თბილისში.** იანვრის 4-ს, სასურსათო გამგეობის არავითარი სურსათ-სანოვაგე არ მოსულა.

# ანარქია თბილისში

◆ **თბილისის თავდაცვა.** იანვრის 3-ს კრება ჰქონდა თბილისის ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის ბიუროს. კრებაზე მიწვეულ იყვნენ პოლიტიკურ პარტიათა და ზოგიერთ დაწესებულებათა წარმომადგენელნი. კრება გარეშე საზოგადოების დაუსწრებლად მოხდა და რამდენიმე ღონისძიებანი დაასახელა თბილისის თავდაცვის შესახებ.

# ანარქია კავკასიაში

◆ **მდგომარეობა ყარაბაღში.** ყარაბაღში ანარქია მძვინვარებს, ძარცვა-გლეჯა, ყაჩაღობა, მკვლელობა და სახლების დაწვა მეტის-მეტად გახშირდა. ფოსტა და ტელეგრაფი აღარ მოქმედობს. შუშა-ევლახის გზაზე მოძრაობა შესწყდა. ქ. შუშა მოწყვეტილია დანარჩენ რაიონებს. მცხოვრებნი შიმშილით იხოცებიან. ჯარი გარბის.

◆ **დახმარება დაზარალებულთათვის.** ამიერ-კავკასიის კომისარიატმა 1,500,000 მანეთი გადასდო უკანასკნელ არეულობის დროს თბილისისა და განჯის გუბერნიებში დაზარალებულთა სასარგებლოდ.

# მობილიზაციის დეკრეტი

ამიერ-კავკასიის შინაგან საქმეთა კომისარმა ა. ჩხენკელმა ყველა გუბერნიისა და საოლქო კომისრებს გაუგზავნა დეპეშით შემდეგი ცირკულიარი:

„მოკლე ხანში გამოქვეყნებულნი იქნებიან ამიერ-კავკასიის კომისარიატის მიერ დამტკიცებული დეკრეტები:

1) გაწვეულ იქმნენ მოქმედ სამხედრო სამსახურში ექვსი თვის ვადით ყველა, ვისაც 1918 წლის პირველ იანვარში ცხრამეტი წელი შეუსრულდათ, მათ შორის ყველა მასწავლებლებიც, მოწაფეებიც, სახაზინო და კერძო დაწესებულებათა ყველა დარგის მოსამსახურეები. გამონაკლისს შეადგენენ, მხოლოდ პირნი, აღნიშნულნი სამხედრო ბეგრის დებულებისა 43 მუხლში. ყველა შეღავათი ავად-მყოფობის გამო გაუქმებულია. ავადმყოფობის აღნუსხვა მოკლე ხანში გამოცხადდება. გაწვევის დღე იანვრის 15 ს.

გასინჯვა ხდება საგანგებო კომისიების მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიან, სამაზრო აღმ. კომიტეტის წარმომადგენელი, ექიმი, სათანადო ეროვნული ლაშქრის საბჭოს წარმომადგენელი, ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელი სამაზრო აღმ. კომიტეტის წარმომადგენლისა ან მისი თანაშემწის თავმჯდომარეობით.

ყოველი გაწვეული ვალდებულია თანვე მოიტანოს სამი დღის ულუფა.

2) ყველა ჯარის კაცი ვალდებულია თავის ეროვნულ ნაწილებში გადავიდეს.

ჯარს უნდა დაუბრუნდნენ ყველა, რომელთაც 1918 წლის იანვრის პირველს 32 წელი შეუსრულდათ, მათ შორის ისინიც, ვინც თავდაცვის საქმეზე მუშაობდა. ვისაც ჯარში უკვე უმსახურნიათ, ისინი პირდაპირ ეროვნული ჯარის ნაწილებში გამოცხადდებიან, ვისაც ჯერ არ უმსახურნიათ, ისინი ჯარის საკრებულო პუნქტში ცხადდებიან.

ყველა უნდა გამოცხადდნენ იანვრის 15-ს. დეკრეტი არ ვრცელდება რკინის გზებზე, ფოსტაზე, ტელეგრაფზე, ტრამვაიზე, ელექტრონის სადგურებზე, წყალ-სადენზე, წისქვილებზე ყველა დარგის მომუშავეებზე, თუ კი ისინი ირიცხებოდნენ 1917 წლ. ლვიანობისთვიდან.

ორივე დეკრეტი არ ვრცელდება დიდის ერთა შვილზე. პირნი, რომელნიც ჯერ შეუმოწმებელნი არიან და აგრეთვე თეთრ ბილეთებიანი, ცხადდებიან ჯარის საკრებულო პუნქტში იანვრის 15-ს. ამიერ-კავკასიის არა მკვიდრთ შეუძლიანთ არ იმსახურონ, თუ კი ამიერ-კავკასიის საზღვარს დასტოვებენ.

სწრაფად მიიღეთ ყოველგვარი ზომები, აგრეთვე აცნობეთ სამაზრო და სოფლის კომისრებს გარდაეცით ყოველივე ცნობები, დანიშნეთ საკრებულო პუნქტები, შეადგინეთ შესამოწმებელი კომისიები. სთხოვეთ სახლის პატრონებს, დაწესებულებათა გამგეებს შეუდგენ მოსამსახურეთა დოკუმენტების გადახედვას. შედეგები სწრაფად შეგვატყობინეთ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კომისარი ა. ჩხენკელი.

# ერობა ამიერ-კავკასიაში

შინაგან საქმეთა სამინისტროს კომისარის მიერ დაარსებულმა კომისიამ, რომელმაც უნდა შემოიღოს ამიერ-კავკასიაში ერობა, შეიმუშავა შემდეგი დებულება (რეფორმა ...) ... მიღებულია სამ-...

1. საერთო წესი საგუბერნიო და სამაზრო ერობის დაწესებულებათა შემოღებისა ამიერ-კავკასიაში. 2. ბრძანება სამაზრო და საგუბერნიო ერობის დაწესებულებათა არჩევნებისა, არჩევნების მოხდენა სოფლის ერობის დაწესებულებებში. 3. წესრიგი, ერობის დებულების ძალაში და მოქმედებაში მოყვანისა ამიერ-კავკასიაში. 4. აღნუსხვა გუბერნიის, სამაზრო და სასოფლო ერობის დაწესებულებათა ხმოსნებისა.

ზემო-აღნიშნულ პუნქტებს ამ დღეებში განიხილავს ამიერ-კავკასიის კომისარიატი. დამტკიცების შემდეგ დაიწყება საერობო არჩევნები. მანამდე კომისია განაგრძობს მუშაობას. ამ დღეებში შემუშავებულ იქნება დებულების მეორე ნახევარი.

# ამიერ-კავკასიის რკინის გზა და ვიკჟელი

დასრულდა კავკასიის რკინის გზათა მოსამსახურეების ყრილობა, რომელმაც გაითვალისწინა, რომ სრულიად რუსეთის რკინის გზის კავშირი (ვიკჟელი) ბოლშევიკების ხელში გადავიდა და მეორეს მხრივ ვიკჟელმა ორმაგი როლი ითამაშა ბოლშევიკების დიქტატურის შექმნის დროს, და დაადგინა გამოეყოს ვიკჟელს. ყრილობამ გაითვალისწინა აგრეთვე ის გარემოება, რომ უკრაინის და ფინლიანდიის რკინის გზები აღგილობრივად შექმნილ ძლიერ მთავრობას მიემხრნენ და დაადგინა მხარი დაუჭიროს ამიერ-კავკასიის კომისარიატს, თებერვლის 20 მოიწვიოს ამიერ-კავკასიის რკინის გზის მსახურთა დამფუძნებელი ყრილობა, რომელმაც უნდა დაარსოს ამიერ-კავკასიის რკინის გზის მსახურთა ცენტრალი აღმასრულებელი კომიტეტი.

# მუსულმანთა კორპუსი

ამიერ-კავკასიის კომისარიატმა დაამტკიცა მუსულმანთა ეროვნული ცენტრალური საბჭოს მიერ შეტანილი დებულება მუსულმანთა კორპუსის შედგენის შესახებ.

1) მუსულმანთა კორპუსის შესადგენად უნდა იყვნენ მოწვეულნი ისინი, ვინც თავისი ნებით მოისურვებს ჩაწერას ჯარში.

2) ჯარის მოკრება უნდა მიენდოს ამიერ-კავკასიის მუსულმანთა ცენტრალურ საბჭოს, რომელმაც უნდა წარუდგინოს კომისარიატს საკმაო რიცხვი იარაღის მომხმარე ახალგაზრდობისა.

3) მოკრებილი მეხადინები უნდა შეამოწმდეს და ისე ჩაირიცხოს ჯარში.

4) ყველა ჯარში ჩარიცხული მოხალისე დარჩება ჯარში საყოველთაო საბრძოლო წესით.

5) საკომანდო, საშტაბო და საფინანსო შტატი შევსებულ იქნება ამიერ-კავკასიის მუსულმანთაგან, ხოლო თუ მათ ვერ შეავსეს ეს შტატი, ნება აქვთ მოიწვიონ სხვა ერის კაცნიც.

6) ყველა ხარჯები ამ კორპუსისათვის გაღებული იქნება სახელმწიფო ბანკებიდან ისე, როგორც საერთოდ რუსეთის რესპუბლიკის ჯარისათვის.

7) კორპუსის შედგენის შემდეგ გამოიცემა დეკრეტი, რომელიც მუსულმანებს გაანთავისუფლებს ერთგვარ ბეგრისაგან, რომელიც მათ ედოთ [illegible] დროს.

8) ეს დებულება დასრულდება ამიერ-კავკასიის იმ დადგენილებისა, რომელიც 11 დეკემბერს იყო დადგენილი მუსულმანთა კორპუსის შესახებ.

# ახალციხის მაჰმადიანები და ქართველები

ახალციხის მაჰმადიანებმა მოითხოვეს, რომ ქალაქში მდგარი პოლკი მაჰმადიანთა პოლკად გარდაქმნან, თუ შესაძლებელია ქართული პოლკი ცალკე დაარსდეს. ამასთანავე მოითხოვეს, ახალციხეში მაჰმადიანთა ჯარი იდგესო, თვით მართვა-გამგეობაც მაჰმადიანთა ხელში გადავიდესო. ქართველ პოლკის შესახებ მაჰმადიანები მოითხოვენ, რომ საქმის ვითარება იანვრის ხუთამდის იქნეს გამორკვეული. ახალციხეში ამ ჟამად სრული სიწყნარეა.

# მდგომარეობა საინგილოში და უდინეში

საინგილოში მდგომარეობა დღითი დღე უარესდება: საერთო არევდარევას თან დაერთო ინგილო-ქრისტიანეთა საშინელი დარბევა, რომელმაც პირდაპირ ტერორისტული ხასიათი მიიღო. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ხალხი შველას გვემუდარება. გუშინ შესდგა თბილისში მოსახლე ინგილოების კრება, რომელსაც დაეს-

წრო ყველა თბილისში მცხოვრები ინგილო. თავმჯდომარეობდა მისი ჯანაშვილი. კრებამ მიიღო სათანადო რეზოლუციები, რომელიც იმავე დღეს წარედგინა საქართველოს ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

— მის უწმიდესობის კათალიკოზ-პატრიარქის კირიონ II-ის და ეროვნულ საბჭოს სახელობაზე გუშინ მოვიდა დეპეშა სოღულ ვართაშენიდან მრავალი ხელისმოწერით: უდინები ატყობინებიან, რომ თათრების ბრბომ აიკლო მათი სოფელი ყაშლაღი და მიიწევს ვართაშენისკენ. უდინები მიმართავენ ქართველ ჯარს საშველად, ხოლო ეროვნულ საბჭოს სთხოვენ გადმოასახლოს იგინი საქართველოში, რომ ავაზაკთა და ბნელ ელემენტების მოხდენილმა ბრბომ არ გაჟლიტოს მთლად უდინები. კათალიკოზმა უდინებს სანუგეშო და გასამხნევებელი დეპეშა გაუგზავნა, ეროვნულ საბჭოს კი მიმართა წინადადებით ... მცირერიცხოვან ხალხს, რომელიც რევოლუციის პირველ დღეებშივე შემოუერთდა საქართველოს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

## პროვინციელის ფიქრები

წარსული წელი რუსეთს გაუთავდათ ბოლშევიკების ბატონობით... ბატონობით, რომელიც მოპოვებულია ცეცხლითა და მახვილით.—მაგრამ რა პერსპექტივებით? ანარქია თანდათან ფართოვდება. შიმშილობა თან და თან იზრდება. მრეწველობა და ... თან და თან ისპობა. არავითარი ... მუშაობის და საწყისი საქმე ... წარმოებაში. მხოლოდ ... ლევავა, ... და ...

... ეჭვი არ იყო, რომ ეს ... კრიზისის ხანა, მაგრამ, მაინც ... ეცადა თუ განუკითხავა სულს, არ გვეგონა და ... მეტად ... ხოვა ... მაინც ... თვითპყრობელი ჩამოვარდა!—ქალაქის ქუჩები იცინოდნენ, ცეკვავდნენ, მღეროდნენ... მაგრამ საქმე ხომ ცეკვა არ არის, არამედ ის, თუ როგორი შეიცვალა ძველი ახლით? რა ახალი ფერადები ... ცხოვრებას? უეჭველია, რომ ... სიხარულთან ერთად თან დაჰყვა შიში მოუმზადებლობისა, მაგრამ დიდი იყო მაინც აღმაფრენა სიხარულისა და საერთო ... ვსებდა ჩვენს ცხოვრებას. დადგა დრო აღმაშენებლობისა. ამ აღშენებასაც მიჰყვნენ ხელი, მაგრამ დოკტრინერნი ... გამოდგნენ. „ეხლავე გვინდა ყველაფერი! ისინი მოდიოდნენ წინდაწინ დამზადებულ გეგმით და განყენებულ თეორიებით და თვით ცხოვრებას კი არ სინჯავდნენ, არ უკვირდებოდნენ კარგად და არც იმჩნევდნენ სიტყვებს, მასს ჩივილს ... თეორიები კარგია, გეგმებიც საჭიროა, მაგრამ თვით ცხოვრების შესწავლა—დაკვირვებაც ხომ უსაჭიროესია?..—ჩვენ უკვე ვიცითო!—ამბობდნენ დოკტრინერნი.—მაგრამ თუ მართლა იციან, რატომ არიან სულ სხვა და სხვა აზრის? რატომ ნახევრადაც მაინც არ თანხმდებიან?—გაკვირვებით ჰფიქრობს უბრალო პროვინციელი. ჰფიქრობს და თან ნატრობს: ნეტავ, მალე გამორკვეულიყო, თუ ვინ არის მტყუანი და მართალიო!—მაგრამ სანამ გამოირკვეოდეს?. პეტრეს მოსვლამდის პავლეს ტყავი გააძვრესო—უტრიალებს ეს აზრი პროვინციელს თავში და უნუგეშოდ ხვნეშის, სწუხს, მშიერი, შიშველი... ავადმყოფის მდგომარეობა თანდათან მძიმდება და რთულდება.. რაც დრო გადის, მით უფრო ხშირდება ყვირილი ყოველ კუთხიდან: საჭმელი და სასმელი ილევა, ნავთი და შეშა არ მოიპოვება, თან ცარცვა-გლეჯაც იზრდება ყოველგან. ეს ჩვენში. რუსეთში ხომ უარესი ამბავია! და კაცების ცხოვრება, ილევა სისხლისაგან... შველას ითხოვს!... დოკტრინერნი რას შვრებიან?..

ნაყოფი ხისაგან შორს არ ვარდება—ასე გაგვიგონია. ჩვენი მდგომარეობაც ნაყოფია (თუ, ნაწყვეტი?) რუსეთის საერთო მდგომარეობისა. იგივე ქარები უბერავს ჩვენი ცხოვრების წალკოტს, საქმე ახლოდ იმაშია, თუ რა მხრით შეიცვლის ქარი (ქარების) მიმართულებას ჩვენი თავისებური ბუნება: შეანელებს, აჩქარებს, თუ წაგვაქცევს? ღმერთმა კარგი ჰქნას, მაგრამ ჩვენ გვეჩვენება, რომ რუსეთს შეეძლოს იქ ავარდნილ ქარების დაწყნარება და მით თავის ხსნა. ვინაიდან ჩვენ ვიცით რუსეთის ცხოვრების ფლეგმატიური ხასიათი, რომელშიაც, შეიძლება დიდიც იყოს პოტენციალური ძალა, მაგრამ მასში არ არის საიმედო აღმაშენებელი გენია. ის მძიმეა, ტლანქი, და ერთხელ დაძრული, მით უფრო დაღმართით დაქანებული, ფიზიკურ კანონ ინერციის ძალით ქვევით და ქვევით ილის, ვიდრე დაიმსხვრეოდეს. მართალია იმედოვნებდნენ და ფუძნებულ კრებაზე, მაგრამ მას დაასწრო ბოლშევიკურ ტალღამ და ქვევით ჩააქანა რუსეთის ცხოვრების გემი. მას სჭირია შემაჩერებელი ძალა—ლუზა ან წყნარი ნავთსაყუდელი (დამფუძნებელი კრების სახით). პირველი არ მოიპოვება, მეორენიც არსად სჩანან; ასე მიდის, მიექანება რუსეთის ცხოვრება ქვევით, დაშლის გზით, რღვევის პროცესით მტვერსა და ბოლოში...

თავის თავად იბადება კითხვა; მაშ, რა იხსნის რუსეთს? შესაძლებლობა მხოლოდ სამ გვარია: ან განაპირეების სიმაგრე და შეკავშირება, რომელსაც შეუძლია შეჰკრას რგოლი და ტორმაზად დაუხვედროს დაგორებულ რუსეთს, ან სხვათა ძალა, რომელიც ნებით, თუ ძალით შემოიჭრება მასში (გავიხსენოთ მისი ისტორიიდან ასეთი ხ ნა—ძმათა რიურიკოვების მოწვევა) და ბოლოს, თუ სხვა ვერაფერმა ვერ უშველა, უნდა გამოჩნდნენ ისევ მინინ-პოჟარსკები... მაგრამ ეს როდის იქნება? მაშინ, როცა რუსეთის ცხოვრება მიაღწევს უკიდურეს მდგომარეობას, ყოფნა არ ყოფნის ხაზს... და ეს იქნება უკანასკნელი გაბრძოლება კიდევ და ჩვილ ძალ-ღონისა!..

თუ ეს ასეა, სჩანს, ჩვენი მათი აყოლა ისეთივე სისულელე იქნებოდა, როგორც მაგ., ცურვის არ მცოდნე გადახტეს წყალში სხვის გადასარჩენად.

რას იზამენ ჩვენი მეზობლები? როგორ მოგვეპყრობიან ისინი? და, მეორე მხრით, რას იზამს ჩვენი მასსიური ფსიხიკა? თუ, ვინიცობაა, საჭირო შეიქმნა ძალთა შეღუღება, სიმტკიცე და პატრიოტულ სულის აღტყინება, შევიძლებთ მას? შევიძლებთ პირადი ანგარიშების დავიწყებას და ერთ დროშის ქვეშ თავის მოყრას? რატომ არის ეს საეჭვო? იმიტომ რომ არც ისე ძვირად გვხვდება მაგალითები ჩვენი ფსიხიკის მოწმლისა და სულიერ „მე“ ს დაწვრილმანებისა; მაგრამ როცა საქმე და მდგომარეობა მოითხოვს ყველაფრის გადალახვას, მაშინ შეერთების ყიჟინას გავსცემთ შესაფერ პასუხს და გაჩნდებით იქ, სადაც მოგვეთხოვს მოქალაქეობრივი მოვალეობა და გავანაღდებთ სამშობლოს იმედებს. აი, რა კითხვები იბადება ჩვენს ცხოვრებაში! აი, რას მოგვეთხოვს ჩვენ მომავალი!.. და, თუ უმტყუნეთ ჩვენ მას, თუ რაინდულმა სულმა ვერ გაიღვიძა ჩვენში, მაშინ ისევ ურიმედობის ბურუსი დაჰფარავს ჩვენს სამშობლოს და მისს ცხოვრებას... და, ვინ იცის, ეგებ კიდევა ... ჩაგვიქროს მზე დიდებისა!...

რომელ ჟორდანია.

## კორესპონდენცია

### არეულობა ახალციხეში

27 დეკემბერს დილის 8 საათიდან ხმა გაისმა, რომ 15,000 შეიარაღებული ადგილობრივი მაჰმადიანები ქალაქს თავს ესხმიან დასარბევად და ციხე-არსენალის ასაღებადაო. მცხოვრებნი შიშმა შეიპყრო; ვისაც კი იარაღის ხმარება შეეძლო 5000 სულზე მეტი ჯ. ქ. აღმასრულებელ კომიტეტის სადგომს მიაწყდა, მოითხოვა თოფები, წინააღმდეგ შემთხვევაში არსენალს გავტეხთ და იძულებით გავიტანთ იარაღსაო. კომიტეტმა დაურიგა ვინტოვკები მხოლოდ ჯარიდან განთავისუფლებულებს. მცხოვრებნი შეუდგნენ თავიანთი ავლადიდებისა და ქონების გადამალვას და მზად იყვნენ გაქცეულიყვნენ სადმე ხოცვა ჟლეტის ასაცილებლად. მართლაც, ქალაქიდან 3 ვერსის მოშორებით, ბორჯომის გზა ტკეცილზე თავი მოეყარათ რამოდენიმე ათას შეიარაღებულ მაჰმადიანს. ვისაც იარაღი არ ჰქონდა, ბარ-ნიჩაბით და რკინის ჯოხებით შეიარაღებულიყო. ქალაქისა და მაჰმადიანთა შორის დელეგატების მიმოსვლა გაიმართა. მაჰმადიანები თხოულობენო, როგორც ხმა იყო, ციხისა და არსენალის დათმობას. 28 დეკემბერი ამ ყოფაში დაღამდა. რადგანაც შეთანხმება არ მომხდარა, მცხოვრებნი ღამით ელოდნენ მტრის თავდასხმას, ამიტომ ც როგორც ციხე, ისე ქალაქის განაპირა უბნები შეიარაღებული ჯარის კაცთა და ქალაქის მცხოვრებთა მიერ გამაგრებულ იქმნა. გამართეს და მოაწყვეს აგრეთვე ციხე-სიმაგრეებში 10—15 ტყვიის მტყორცნელიც. იმ ღამეს მცხოვრებნი ფეხზე იდგნენ უძილობის მოლოდინში.

როგორც იყო, ღამემ მშვიდობით გაიარა. მეორე დილას, რამდენიმე მხრიდან ქალაქს მოადგა მტერი და სანგრის წვერიდან 11 საათზე ასტეხა სროლა. ციხიდანაც დაიჭექეს ტყვიის მტყორცნელებმა და დაიგრიალეს ვინტოვკებმა. ეკლესიების ზარის რეკაც შეურთდა თოფ-ზარბაზნების გრიალს და შეშინებულ ბავშვების და ქალების წივილ-კივილი სურათის საშინელებას აორკეცებდნენ. სროლა უფრო უტაქტო იყო ორივე მხრივ, რადგანაც უფროსები არა ჰყავდათ გამოცდილი და ალმა-ცალმა ისროდნენ. დაიწყო სომხის სოფლებიდან ლტოლვილ ქალ-ბავშვთა დენა ქალაქში, რომელნიც გამოქცეულიყვნენ მახლობელ სოფელ წყურთიდან და წირიდან, სრულიად ფეხშიშველნი და ჩაუცმელნი, რადგანაც ვეღარ მოესწროთ მაშინ ჩაცმა და ხურვა. დადგა პროვოკატორების ეპოქა. ისინი უფრო აღელვებდნენ და აშინებდნენ ისედაც შეშინებულ ხალხს. იძახოდნენ: აიკლეს და მთლად გასწყვიტეს წყურთელები, პამეჯლები, სხვილისელები (სომხის სოფლებია) და სხ. ნამდვილად კი სოფლებში არაფერი არ მომხდარიყო. ამ ამბების გამო აღელვებული სომხები და ქართველები მიაწყდნენ არსენალს იარაღის გამოსატანად. არსენალის მმართველი აწყნარებდა მოძალადე მცხოვრებთ, მოითმინეთ, როდესაც საჭირო იქნება ჩვენ თვითონ დაგირიგებთო. ეხლა კი მტერი ჯერ ვერაფერს აწყობს და არაა საჭიროო. სროლამ 3—4 საათს გასტანა. მსხვერპლი არა ყოფილა, გარდა ორი დაჭრილი სომხის ჯარისკაცისა.

როგორც გავიგეთ, თბილისის კომისარს რამიშვილს დაუკმაყოფილებია მაჰმადიანების გამოგზავნილი დელეგატები, მაჰმადიანთა მოთხოვნილება ყოფილა, რომ იარაღი იმათაც მისცემოდათ არსენალიდან თავის დასაცავად. კომისარს მიუცია იარაღით სარგებლობა შემდეგი პირობით: არსენალიდან იარაღი დაურიგდებათ უპირველესად ჯარისკაცთ და როდესაც იმათ გადარჩებათ იარაღი, მაშინ ყველა ეროვნებასთან ერთად მაჰმადიანებსაც მიეცემათ პროპორციონალურად. ამ გადაწყვეტილებაზე დაკმაყოფილებულა მაჰმადიანების დელეგაცია და დაბრუნებისთანავე სროლა შეუწყვეტინებიათ სამხარ ა პარეზზე. 29 დილაც მშვიდობით გათენდა, თუმცა მეციხოვნე ჯარები ისევ თავიანთ ადგილებზე იყვნენ.

პროვოკატორები 29 დეკემბერსაც ნაირ-ნაირ საშინელ ხმებს ავრცელებდნენ, თითქო თათრები კიდევ მოდიან და დაწყნარებულ ხალხს ამოჟლეტენო. მდგომარეობა 29 დეკემბერს შუადღემდის მშვიდობიანი იყო და არავითარ შემოსევას და ხოცვა ჟლეტას ადგილი არ ჰქონია.

მოკეთე

## მეთამბაქოეთა საყურადღებოდ

გიორგობისთვის 26-ს, 1917 წ., ქალაქ თბილისში დაარსდა საზოგადოება ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო კავშირის პლანტატორებისა, რომლის წესდება დამტკიცებულ იქმნა საოლქო სასამართლოს მიერ.

ამიერ-კავკასიის სასოფლო სამეურნეო კავშირს ჰყავს 1200-დე წევრი და შესდგება ამიერ-კავკასიის შემდეგ რაიონებიდან: სოხუმის ოლქიდან, ოჩემჩირის, ართვინის, გუდაუთის, აჭარის, ყირიმის, გურიის, ზაქათალის, ლაგოდეხის, ქიზიყისა და ზუგდიდის რაიონებიდან. საზოგადოებას მიზნად აქვს შეუმსუბუქოს ტვირთი სოფლის პლანტატორებს სამეურნეო მდგომარეობის გაუმჯობესებაში და ხელი შეუწყოს შემოსავლის ზრდას, აგრეთვე შეაძინონ ინვენტარები და მეურნეობის გასაუმჯობესებელი იარაღები.

ამას გარდა საზოგადოება თავისთავს ვალდებულად სთვლის, წვრილი სოფლის პლანტატორების ნაწარმოები გაჰყიდოს ბაზარზე კანონიერ ფასებში და საქმე იქონიოს მხოლოდ მექარხნეებთან. თავის უპირველეს მიზნად საზოგადოება ისახავს, დაიცვას წვრილი პლანტატორები ჩარჩებისაგან, რომელნიც ხელში იგდებენ თამბაქოს იაფფასებში, რის გამოც ღარიბი პლანტატორები მილიონობით აგებენ.

იმავე დღეს, ღვინობისთვის 26, ყრილობამ შეიმუშავა შემდეგი ნორმალური ფასები 1917 წლის თამბაქოს მოსავალზე. ყრილობაზე მონაწილეობას ღებულობდნენ პროფესიონალურ საზოგადოების და სხვა დემოკრატიულ ორგანიზაციების წარმომადგენლები. ყრილობაზე დადგენილ იქმნა: დაწესდეს პროცენტიანი გადასახადი ერთი პროცენტის რაოდენობით როგორც პლანტატორების, ისე მყიდველების მხრიდან.

### თამბაქოს ნიხრი:

**ოსმალურ თამბაქოს თესლის „სამსონის“-ა გარჩეული, განმზადებული საპალნეებად:** კახეთის—1 და 2 ხარისხის 260 მან., გურიის—3 და 4 ხარისხის—150 მ., ზაქათალის—1, 2, 3, 4 საზოგ. 230 მან.

**გაურჩეველი, ხარისხებად დაუყოფელი, საპალნე:** კახეთის, გურიის, ზაქათალის—ორას-ორასი მან.

**გარჩეული:** აჭარის 1 და 2 ხარისხის 300 მან., ართვინის—3 და 4 ხარისხის—200 მან., ართვინის—1, 2, 3 და 4 საზოგ. 260 მან.

**გაურჩეველი, შეკრული საპალნე და ხარისხებად დაყოფილი:** აჭარისა 230 მან., ართვინისა—230 მან.

**გაურჩეველი კონებად შეკრული საპალნე:** სოხუმისა—1 ხარისხის 300 მან., გუდაუთისა—1 ხარის. 270 მან, ოჩემჩირისა—3 ხარის. 250 მან., ზუგდიდისა—4 ხარის. 220 მან.

**გაურჩეველი საპალნე:** სოხუმისა—1 ხარისხისა 350 მან., გუდაუთისა—2 ხარისხ. 320 მან., ოჩემჩირისა—3 ხარისხისა 300 მან., ზუგდიდისა—4 ხარისხისა 270 მ.

**გადაურჩეველი კონა თამბაქო დუშეკი პირველი ხარისხისა:** იალტისა—345 მან., ყირიმისა—400 მან.

**ამერიკული თესლისა:** იალტისა—390 მან., ყირიმის—400 მან.

**ამერიკული მთიან ადგილების თესლისა:** იალტისა და ყირიმის—315—395 მან.

ფასი რაიონებში ერთია, მაგრამ განსხვავდებიან ხარისხითა.

ვღებულობთ რა მხედველობაში, რომ მიწის დამუშავება და თამბაქოს მოყვანა ძველებური იარაღებით ამა თუ იმ რაიონებში პლანტატორებს დაუჯდათ ას მანეთიდან ორას მანეთამდე და აგრეთვე მანეთის ფასის დაცემამ იძულებულ გვყო დაგვეწესებინა ზემოაღნიშნული ფასები, რათა გვეხსნა სასოფლო მეურნეობა ზარალისაგან, გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ ჩვენს საზოგადოებას და საჭიროების დროს თამბაქოს ფურცლებით მიჰმართოთ ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო კავშირის სათამბაქო ბიუროს, ამით გაადვილდება თამბაქოს ფურცლებით ვაჭრობა და მეორე მხრით საშუალებას მოგვცემს მოვაწესრიგოთ თამბაქოს საქმე ამიერ-კავკასიაში.

კავშირის თავმჯდ. დ. კალანდაძე.
მდივანი ხ. თავართქილაძე.

რედაქტორი **გრიგოლ ვეშაპელი.**

## კალენდარი

**პარასკევი, იანვრის 5**

**ქართვ.** ნათლისღების წინა და მარხ. და უქმე წ. მოწ. თეოპემტო და თეონასი ღ. სინკლიტიკე, წმ. ღვთისიასი.

**კათოლ.** წინა დღე განცხ. იესო ქრისტესი, წმ. ... ...

**სომეხ.** წინა დ. შობისა ქრისტ. (ნათლისღება) ხსნილი თევზით და ერბოთი (ნავაკატიკ).

**მაჰმად.** ჯუმა 4 რ. რებიულახირ 1336 წ. ჰიჯრისა.

**ებრაელ.** იომშიშ 5 რ. შებეთისა 5678 წ. ქვეყნ. შექ.

## საავადმყოფო

**საზოგადო ექიმ სპეციალისტებისა მოსიარული ავადმყოფებისთვის**
დიდი ვენქის ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 431.

**ავადმყოფების მიღება:** დილის 10 საათიდან 5 საათამდე.

**ბედანცვ**—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ღებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
**გეონაცი**—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
**ახპიხოვი**—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
**ფირალოვი**—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
**მონხე**—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველდღე.
**ჩუდნოვსკი**—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1 საათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
**ბეგზადოვი**—ქალთა და სანებიო, ყოველდღე 2—3 საათამდე.
**ოსეპიანი**—ქალთა და სანებიო ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. და პარ. 11—12 ს.
**ნარიმანოვი**—ვენერიული ავად. ყოველდღე 10—11 საათამდე.
**დეკანოზოვი**—ქალთა ავად. სამშაბათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
**ტროიცკაია**—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე.
ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
**ბაგდოევსა**—კბილის ექიმი ყოველდღე 3—5 საათამდე.
**ალიხანოვისა**—კბილის ექიმი ღებულობს ყოველდღე 10—12 საათამდე.

100—920—57

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მიმოსვლა**
(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. № 5, | 11,32 | დილ. |
| | სამგზ. № 9, | 11.28 | დილ. |
| ხაშურ-ბორჯომის. | № 19, | 3.17 | დღ. |
| „ „ | № 17, | 8.19 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. № 6, | 9.51 | დილ. |
| „ | საფ. № 4, | 8.46 | საღ. |
| საქარასკენ | სამგზ. № 4.8, | 12.15 | საღ. |
| „ | № 61. | 8,18 | დილით (მხოლოდ კვირა-უქმით ქსანკამდე). |
| „ | № 63.4, | 48 | ნაშუადღევზე მცხეთამდე. |

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. № 10, | 8.38 | დილ. |
| „ | საფ. № 6, | 7,41 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. № 20, | 7.57 | დილ. |
| „ | სამგზ. № 18, | 9.50 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. № 8, | 10 26 | დილ. |
| „ | ჩქარ. № 5, | 10 20 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. № 3***, | 7. 58 | დილ. |

### კახეთის რკინის გზა

**თბილისიდან გადის:**
სამგზ. № 4, 8.58 დილ.

**თბილისში მოდის:**
საღამოთი 6.24 წუთ.

**ექიმის თანაშემწე**
## ვანო საათაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს საღ. 4—6 საათ.—ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებთ, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყბავილის აცრა და სხ. მისამართი: ფასანაურის შესახ. № 8 (1-ლი სამილიციო ნაწილი).

54—743—თ

**ექიმი**
## დიმიტრი (რამინ) იოსებისძე ჟორდანია
სწამლობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები, სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი საღამოს 5—7 საათ. კვირის გარდა. გორის ქუჩა № 6, დიდუბე.

თ—879—22

**კბილის ექიმმა**
## მამულაიშვილი-ხოდნევისამ
**გაიახლა**
**ავადმყოფების მიღება.**
10—1 დილით, 5—6 საღამოს, გარდა კვირისა.
თელავის ქუჩა, № 22.

25—823—52

**სამკურნალო კაბინეთი**
## პ. ს. ფონ-ირტელისა
ქირურგიულ-ვენერიულ და კანის ავადმყოფობათა სპეციალი სამკურნალო წამლობა ელექტრონით და ოპერაციები, წამლობა „914“-ით და „606“-ით. ავადმყოფთა მიღება: 9—12 საათ. დილით და $4^{1}/_{2}$—8 საღამოთი. მიხაილოვის პროსპექტის კუთხე № 128, კრილოვის ქუჩა № 1. ოგანეზოვის სახლი. მეორე შესავალი კრილოვის ქუჩით.

თ—920—8

**დოქტორი და აკუშერი**
მოსე ანთიმოსის ძე
## კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებით ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.

**სამკურნალო კაბინეთი ექიმ**
## ალექსანდრე დავითის ძის კეკელიასი
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

**ექიმი**
## დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებათ ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 5-დან 7 საათამდე. გუნიბის ქუჩა № 41 ტელეფონის № 14—09

# ქართული უნივერსიტეტი
## თბილისში გაიხსნება 1918 წ. იანვრის შუა რიცხვებში.

ამ თავითვე იქნება სიბრძნის მეტყველების ჰუმანურ მეცნიერებათა განყოფილება. ლექციები იქმნება ხელოვნებით, ფილოსოფიით, ისტორიით, ლიტერატურით, ენათმეცნიერებით, პედაგოგიკით და სოციოლოგიურ მეცნიერებათა დარგებიდან.

სტუდენტებად მიიღებიან საშუალო სასწავლებლებში (ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები, სასულიერო სემინარია (ოთხი კლასი), რეალურ, საკომერციო; სავაჭრო და წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლები, სოსტატო ინსტიტუტი, და სემინარია, კადეტთა კორპუსი და სხვა) კურს დამთავრებულნი.

სტუდენტად ჩასარიცხავად საჭიროა: 1) თხოვნა ქართული უნივერსიტეტის დროებითი გამგეობის სახელზე (თხოვნაში აღნიშნული უნდა იყოს მთხოვნელის მისამართი), 2) მოწმობა განათლების ცენზის შესახებ და 3) მეტრიკული მოწმობა (დედნითვე). მსმენელთათვის საჭიროა მხოლოდ თხოვნა.

სწავლის ფასი სემესტრში (ე. ი. ნახევარი წლის) სტუდენტებისა და მსმენელთათვის ათი თუმანი; იმ მსმენელთათვის კი, რომელთაც მხოლოდ ერთისა ან ორი საგნის ლექციების მოსმენა სურთ, ხუთი თუმანი. ფული ჩაწერისთანავე უნდა იყოს შემოტანილი.

ჩაწერა შეიძლება იოსებ ყიფშიძესთან ქართული უნივერსიტეტის კანცელარიაში (ქართული გიმნაზიის შენობა) 12 საათიდან 2 საათამდე ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა.

ფოსტის ადრესი: Въ Канцелярію Грузинскаго университета. Тифлисъ. Зданіе Грузинской гимназіи.

ქართული უნივერსიტეტის დროებითი გამგეობის წევრნი: ( პ. მელიქიშვილი, ( ივ. ა. ჯავახიშვილი.

10—925—5

სტამბა „შრომისა“ ... ... № 4